პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის
1920 წლის
3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 172 (20518) ხუთშაბათი, 27 ივლისი, 1989 წელი. ფასი 3 კაპ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია

შემდეგ სიტყვას იღებს დეპუტატი **ვ. ა. იარინი.** როგორც მან თქვა, ნიჟნი ტაგილის მაღაროელები გვაფრთხილებდნენ, რომ გაიფიცებოდნენ, თუ არ შესრულდებოდა მოთხოვნა ტაგილის მაღაროელთა ნიჟნი ტაგილის ვ. ი. ლენინის სახელობის მეტალურგიული კომბინატისაგან გამოყოფის შესახებ. ორატორმა თავის ამომრჩევლებს აღუთქვა, რომ მოსკოვში სერიოზულად არჩევენ ამ განცხადებას, და გამოთქვა იმედი, რომ ეს ინფორმაცია აღკვეთს არასასურველ ექსცესს სამრეწველო ცენტრში.

გამოხატა რა დამოკიდებულება კუზბასის ამბებისადმი, ორატორმა გამოთქვა აზრი, რომ საგაფიცვო კომიტეტების სახით გაჩნდა ნამდვილი სახალხო ხელისუფლების ყლორტები. მეშახტეთა კოლექტივებთან კავშირით გამოვიდნენ ინტელიგენცია, პარტიის ნამდვილი მებრძოლები, მუშათა უფლებების ნამდვილი დამცველები — პროფკავშირული აქტივისტები. დღეს სწორი იქნებოდა საგაფიცვო კომიტეტები შეგვეყვანა რაიონული საბჭოების შემადგენლობაში, რადგან მათ გვიჩვენეს, რომ შეუძლიათ უხელმძღვანელონ კიდეც და პასუხისმგებლობაც იკისრონ. ორატორმა მხარი დაუჭირა წინა ორატორების წინადადებას, უკვე დღეს განახორციელონ საგანგებო ღონისძიებანი, რათა გაამართლონ ხალხის ნდობა.

დეპუტატ **ქ. ქ. უოკას** აზრით, გაფიცვები, როგორც მშრომელთა ინტერესების გამოხატვის ფორმა, საჭიროა, მაგრამ არ შეიძლება დავუშვათ, რომ ისინი სტიქიური ხასიათისა იყოს. უნდა მივცეთ შესაძლებლობა მუშათა კლასს მოახდინოს ორგანიზება, თქვა ორატორმა, საჭიროა დამოუკიდებელი პროფკავშირები, ამისათვის, კი აუცილებლად უნდა დავუთმოთ მათ მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი.

დეპუტატმა მხარი დაუჭირა შრომითი კოლექტივისათვის წარმოების საშუალებათა გადაცემის შესახებ კანონისა და გაფიცვების შესახებ კანონის მიღებას, რომელიც, მისი აზრით, უნდა გამოვიტანოთ წინასწარი ფართო განხილვისათვის.

ჩვენთან, თქვა დეპუტატმა **ნ. ვ. ფიოდოროვმა,** დღეს სტიქიურად დაიწყო ზოგადპოლიტიკური დისკუსია. მისი საბაბი გახდა ქვანახშირის მრეწველობაში მომხდარი ამბები. არ მინდა ეს საუბარი მხოლოდ მექვანახშირეთა პრობლემებით შემოვფარგლო. ყველა დარგში არის უმწვავესი პრობლემები.

მიმდინარეობს დისკუსია გარდაქმნის პრობლემებზე, თქვა ორატორმა, მისი ბუქსაობის მიზეზებზე. ისე ნუ შევაფასებთ სიტუაციას, თითქოს მხოლოდ მუშათა კლასი გამოსულიყოს. გამოვიდა მთლიანად სასოწარკვეთილებამდე მისული ხალხი. ეს არ არის კლასობრივი გამოსვლა, ეს არის წინააღმდეგობრიობა მმართველებსა და მართვას დაქვემდებარებულთა შორის. მაგრამ როგორ გადავჭრათ ეს? ენგელსს აქვს რეცეპტი: ყველა თანამდებობის დემოკრატიული თავისუფალი არჩევნები, იმ ხელმძღვანელის გამოხმობის დემოკრატიულად მომუშავე მექანიზმი, რომელიც თავს ვერ ართმევს საქმეს, ყველა პრივილეგიისა და შეღავათის გაუქმება.

ჩვენ მუშათა კლასთან თამაში არას გვარგებს, აღნიშნა ორატორმა, ნუ დავუპირისპირებთ ხალხს მუშებს, ნუ ვეცდებით დავყოთ ისინი შემადგენელ ნაწილებად. დეპუტატმა მთელ საზოგადოებრივ ძალებს მოუწოდა კონსოლიდაციისა და იმისათვის, რომ აღორძინონ ნამდვილად ლენინურ პრინციპებზე სოციალისტური მშენებლობისა და განახლების საქმე.

მე წარმოვადგენ ქალაქ დონეცკის იმ რაიონებს, რომლებიც ახლა საგაფიცვო ამბების ცენტრშია, დაიწყო თავისი გამოსვლა დეპუტატმა **ა. ნ. ბოიკომ.** მან თქვა, რომ სესიაზე საგაფიცვო კომიტეტის დელეგაციის შემადგენლობით ჩამოვიდა.

ეკონომიკური თვალსაზრისით გაფიცვა დრამაა. მაგრამ პოლიტიკური თვალსაზრისით არ შეიძლება სიტუაციის ასე შეფასება. მთელი მიზეზი, ეტყობა, ის არის, რომ ჩვენში მიმდინარეობს არა გარდაქმნა, არამედ ნახევარგარდაქმნა, არა დემოკრატიზაცია, არამედ დემოკრატიზაციის თამაში. საპნის დეფიციტმა კი არ გამოიყვანა ადამიანები ქუჩაში, არამედ სამართლიანობის დეფიციტმა. ამასთან დაკავშირებით ორატორმა ყურადღება გაამახვილა ადგილობრივი ხელისუფლების როლზე, აღძრა შრომითს კოლექტივებში პროფკავშირული და სხვა არჩევითი ორგანოებისადმი, აგრეთვე საწარმოთა ხელმძღვანელებისადმი ნდობის საკითხი.

ორატორმა აღნიშნა, რომ თავის დროზე მეშახტეთა მოთხოვნებს ყურად არ იღებდნენ ქვანახშირის მრეწველობის ხელმძღვანელები. დარგში დაგროვდა წინააღმდეგობანი. მაგალითად, მრავალ რეგიონში, მათ შორის დონბასის სოფლებშიც, მწვავედ აკლიათ ქვანახშირი, დიდძალი სათბობი კი საწყობებში ყრია.

შეაფასა რა უმაღლესი საბჭოს მუშაობა, დეპუტატმა **ვ. ა. ლეონჩევმა** განაცხადა, რომ იგი მთლიანად ვერ ასრულებს ხალხის მიერ დეპუტატთა წინაშე დასახულ ძირითად ამოცანებს. დროა ხელი ავიღოთ სამიტინგო ფორმაზე. ხალხი უფრო მეტად მოითხოვს მწყობრი საკანონმდებლო სისტემის შექმნას, რომელიც მიზნად დაისახავს საზოგადოების ცხოვრების გაუმჯობესებას.

კონფლიქტურ სიტუაციებში, თქვა შემდეგ ორატორმა, დეპუტატები მოქმედებენ როგორც მეხანძრეები ან ინფორმატორები. საკანონმდებლო მუშაობამ ბოლო უნდა მოუღოს ყველა მიმართულებას, რომლებსაც მივყავართ ქვეყნის ეკონომიკის ძირის გამოთხრისაკენ. მუშათა კლასს არ შეუძლია და აღარ სურს შეურიგდეს წარმოების მართვის კაბალურ სისტემას, შრომის სისტემას. შრომით განისაზღვრება სახელმწიფოს ძლიერება. გაფიცვა უკიდურესი ღონისძიებაა ცხოვრების გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში. მაგრამ გაფიცვა, ორატორის თქმით, ორლესული მახვილია. ერთი მხრივ, იგი გვეხმარება, მეორე მხრივ, ლახვარს გვცემს ჩვენვე.

ორატორმა მოუწოდა მშრომელებს დეპუტატებთან ერთად პირველად ქარხნებსა და შახტებში, სხვებს უმაღლეს საბჭოში — განახორციელონ ღონისძიებანი ეკონომიკის დინამიკური განვითარებისათვის, ცხოვრების გაუმჯობესებისათვის.

დეპუტატი შეეხო აგრეთვე კამათს პარტიის შესახებ, რომლის თავს მოხვევას ცდილობენ დეპუტატებისათვის. თუ არის სურვილი, თქვა მან, გავხსნათ დისკუსია ამ საკითხზე, უნდა მოვაწყოთ უმაღლესი საბჭოს წევრთა პარტიული კრება არასამუშაო დროს. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ პარტია მუშათა კლასმა შექმნა და მისი ძირითადი მიზანია ხალხის ცხოვრების გაუმჯობესება.

მეც ვიყავი დონბასში მომხდარი ამბების მოწმე, თქვა დეპუტატმა **ა. ს. ვუიჩიცკიმ,** და მინდა ვთქვა, რომ ეს ნამდვილად რთული და სერიოზული ამბებია. ისინი საგანგაშოა იმით, რომ არა მარტო ეკონომიკური მოთხოვნები, არამედ სერიოზული პრეტენზიებიც წაუყენეს ადგილობრივ ხელისუფლებას.

განვლილმა არჩევნებმა, სახალხო დეპუტატთა პირველი ყრილობისა და ჩვენი სესიის მუშაობამ რევოლუციური ცვლილებანი შეიტანა საზოგადოებაში, მაგრამ ეს პროცესი ლოგიკურად არ დამთავრებულა. ჯერჯერობით ადგილობრივ საბჭოებს ძვალ-რბილში აქვთ გამჯდარი ძველებური აზროვნება, საქმისადმი ძველებური დამოკიდებულება.

ჩვენში ბევრს ლაპარაკობენ საზოგადოების დემოკრატიზაციაზე, განახლების ახალ აზროვნებაზე. მაგრამ საბოლოო შედეგი არ ჩანს, რადგან განახლების პროცესები ადგილებზე მმართველობის ბიუროკრატიულ სისტემას აწყდება. სამწუხაროდ, მუშები, რომლებმაც შეიგნეს უკეთესობისაკენ ცვლილებების აუცილებლობა და არ ხედავენ მათ სინამდვილეში, არ დაეთანხმნენ ამას. ეს არსებითად კონფლიქტია ზემოთ ცვლილებებსა და ქვემოთ სიმდოვრეს შორის.

ყურად უნდა ვიღოთ, თქვა ორატორმა, მაღაროელთა აზრი, რომლებიც ვერ ხედავენ აზრს მართვის ახლანდელ სტრუქტურაში, ხედავენ მასში უმაქნის რგოლებს. უნდა გამოვიმუშაოთ სწორი დამოკიდებულება წარმოებასა და მუშაკაცს შორის. ამავე დროს არ უნდა დავივიწყოთ სოფლის მშრომელთა პრობლემებიც.

ჩვენ გვქვია სახალხო დეპუტატები, შეახსენა დამსწრეთ დეპუტატმა **პ. მ. კლიმჩუკმა,** და უნდა გადავწყვიტოთ ყველა მომწიფებული პრობლემა, რომლებიც ხალხს შეეხება. რატომ აღდგნენ ახლა ადამიანები? იმიტომ, რომ დაბეჩავებულია სოციალური სამართლიანობა. ხალხს მხოლოდ დაპირებებით კვებავდნენ. ბოლო დროს იღებდნენ უამრავ დადგენილებებს, საქმით კი არ განამტკიცებდნენ მათ.

ბევრს ლაპარაკობენ ადგილობრივ ხელისუფლებაზე. მაგრამ ადგილობრივ საბჭოს ხომ არა აქვს არც სახსრები, არც უფლებები. მათს უფლებამოსილებას რეალური შინაარსი უნდა მივანიჭოთ. ვეტერანთა და ინვალიდთა კომიტეტში, თქვა ორატორმა, ათასობით წერილი მოდის. მათი ავტორები გამოთქვამენ აზრს, რომ საჭიროა ჯერ კიდევ ამ სესიაზე მივიღოთ ღონისძიებანი ხელმოკლე ოჯახებისათვის რეალური დახმარების გასაწევად.

მე არა ვარ უმაღლესი საბჭოს წევრი, თქვა ჩელიაბინსკელმა დეპუტატმა **ა. ქ. ორლოვმა.** ტრიბუნაზე თავისი გამოსვლა მან ახსნა ამომრჩევლების დაჟინებული თხოვნით, რომლებიც გაკვირვებას გამოთქვამენ პარლამენტის მუშაობის შინაარსის გამო. მათი აზრით, არ იღებენ გადაწყვეტილებებს ქვეყანაში მიმდინარე საგანგებო პოლიტიკურ და ეკონომიკურ ამბებთან დაკავშირებით.

უკვე წინასაარჩევნო ბრძოლამ ცხადყო, რომელ რეგიონებში უფრო დაძაბული ვითარებაა, განაგრძო ორატორმა. ამიტომ გაიმარჯვეს იმათ, ვინც პირველ ადგილზე დააყენა სწორედ ჩვენი ეკონომიკის სასწორზე ადამიანის როლის გაძლიერება. ყრილობაზე არ გადაჭრილა ეკონომიკური საკითხები. ამან განმსაზღვრელი ფონი შეუქმნა მუშათა კლასის გრძნობებსა და განწყობილებებს. ამის შედეგია წინააღმდეგობა სწრაფად მზარდ საჯაროობას, მშრომელთა პოლიტიკურ შეგნებასა და ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებას შორის.

გაფიცვების ჯაჭვური რეაქცია რომ არ დაიწყოს, საჭიროა, აღნიშნა დეპუტატმა, მივიღოთ შესაბამისი კანონი და დავუკავშიროთ იგი კანონს პროფკავშირების შესახებ. პროფკავშირები პასუხს აგებდნენ გაფიცვებისათვის მატერიალური დანაკარგების ანაზღაურების თვალსაზრისითაც.

ორატორის აზრით, თანამდებობაზე დანიშვნისას ქვანახშირის მრეწველობის მინისტრმა შეცდომაში შეიყვანა უმაღლესი საბჭო. ამასთან დაკავშირებით ორატორს მიაჩნია, რომ საჭიროა გამოეცხადოს დღეს მას უნდობლობა.

მეშახტეთა გაფიცვა, თქვა დეპუტატმა **ვ. ი. კირილოვმა,** — ეს არის რეაქცია სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე. ეს არის დაუკმაყოფილებლობა მინისტრების დანიშვნის პროცედურით უმაღლესი საბჭოს სესიაზე, დაუკმაყოფილებლობა როგორც ყრილობის, ისე სესიის მუშაობის გამო. მისი აზრით დაუყოვნებლივ უნდა მიენიჭოს დამოუკიდებლობა ყველა საწარმოს, სხვაგვარად მას შემდეგ, რაც დაკმაყოფილდება მეშახტეთა მოთხოვნები, აღდგება ჩვენი მრეწველობის ყველა დანარჩენი დარგი.

უნდა შევიმუშაოთ და მივიღოთ კანონი სსრ კავშირის სააქციო საზოგადოებათა შესახებ, დაუყოვნებლივ დავიწყოთ ჩვენს ქვეყანაში სასაქონლო და საფონდო ბირჟების გახსნა. ეს, ორატორის აზრით, იქნება ორგანიზებული, და არა სტიქიური ბაზრები. შემდეგ ორატორმა მხარი დაუჭირა ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის მიღებას, რათა ამგვარად ორგანიზებულ ბაზრებში არ იყვნენ მონოპოლისტები, თორემ, ამტკიცებდა დეპუტატი, სიტუაცია ჩვენში არ შეიცვლებაო.

ორატორის წინადადებაა გამოაცხადონ ადგილობრივი საბჭოების ვადამდე დათხოვნა და მოაწყონ მათი არჩევნები დემოკრატიულ საფუძველზე.

დეპუტატების ამოცანები დღეს ის არის, თქვა დეპუტატმა **ე. ა. პანფილოვამ,** — რომ ყველაფერი იღონონ ზუსტი პოზიციების შესამუშავებლად. ადამიანები მზად არიან კიდევ მოითმინონ, მაგრამ სურთ იცოდნენ, რისთვის და რა იქნება ხვალ. ამ ბოლო დროს მიღებულია ბევრი ნაჩქარევი გადაწყვეტილება ან, პირიქით, ჭიანურდება მწვავე პრობლემების გადაჭრა. საჭიროა დროულად ვრეაგირებდეთ რთულ პროცესებზე.

ორატორი შეეხო ახალ ფუნქციებზე სამინისტროთა გადასვლის პერიოდს და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს პროცესი არ უნდა ჭიანურდებოდეს. ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემა კვლავ მოქმედებს. აპარატის შემცირება ზოგჯერ ფორმალურად მიმდინარეობს.

პარტიული ორგანოების გაკრიტიკება, თქვა ორატორმა, არ უნდა მივიჩნიოთ თავდასხმად პარტიაზე, რომელიც ხელმძღვანელ ძალად რჩება საზოგადოებაში. მაგრამ პარტიული ორგანოების ბევრი წარმომადგენელი ცდილობს თავი აარიდოს პასუხისმგებლობას. საჭიროა მომხდარის საფუძვლიანი ანალიზი. დემოკრატიის განვითარება უნდა ხდებოდეს დისციპლინის განმტკიცებასთან ერთად.

ჩვენ, აღნიშნა დეპუტატმა **ქ. დ. ლუბენჩენკომ,** — ვწყვეტთ პოლიტიკისა და ეკონომიკის თანაფარდობის პრობლემას. წინააღმდეგობათა კვანძი რთულია, ადამიანები უჩივიან სანახევრო ღონისძიებებს. მაგრამ მოდით, ნუ დავივიწყებთ, რომ ჩვენ ნახევრად კულტურული ქვეყანა ვართ. ახლა რომ იჯარით გადავცეთ ყველა საწარმო, ბევრი მათგანი ხომ თითქმის მთლიანად ხელის შრომაზეა დაფუძნებული და არ აწარმოებს საქონელს, გადაცემა საჭიროა, მაგრამ მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის პირობებში. ეს ღონისძიება ძალიან წინდახედულად უნდა ხორციელდებოდეს

მეშახტეთა მოქმედებას უწინარესად პოლიტიკური ხასიათი აქვს. ადგილებზე უნდა გადაწყდეს საბჭოთა ხელისუფლების საკითხი. იქ დაგროვდა პრობლემები, რადგან მრავალი ადგილობრივი ხელმძღვანელი უკვე აღარ გამოხატავს ხალხის ნებას. ჩვენ ვერ დაველოდებით ამ ადამიანების ბუნებრივ შეცვლას, თორემ ისინი თვითონ შეგვცვლიან.

პოლიტიკურმა ცენტრმა ახლა ნამდვილად უნდა გადაინაცვლოს ადგილებზე, საბჭოებმა იქ ხელში უნდა აიღონ ძალაუფლება. მაგრამ ახლანდელი დეპუტატთა კორპუსი ადგილებზე თითქმის არაფერს არ აკეთებს ხალხისათვის. სწორედ ამით აიხსნება საჩივრებისა და წერილების მოზღვავება, რომლებსაც დეპუტატები იღებენ. ორატორის აზრით, უნდა შევიმუშაოთ ადგილობრივი არჩევნების შესახებ კანონის საფუძვლები, სხვაგვარად ადგილებზე ყველაფერი გაკეთდება ახლანდელი დეპუტატთა კორპუსის ძალაუფლების შენარჩუნებისათვის, გარდაქმნის შეფერხებისათვის.

დეპუტატმა მოიყვანა ვ. ი. ლენინის სიტყვები, რომ გაფიცვა ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ერთადერთი საშუალებაა. მაგრამ მას არ უნდა ჰქონდეს სტიქიურ-ანარქიული ხასიათი.

ქვეყანაში შექმნილი სიტუაცია, დეპუტატ **ბ. ნ. ელცინის** აზრით, მოწმობს, კრიზისის შემოტევას საზოგადოებაში, პარტიაში, სოციალური, ეროვნული და სხვა საკითხების გადაწყვეტაში. ბიუროკრატიულმა აპარატმა ცენტრში და ადგილებზე გადაწყვიტა რევანში აიღოს სახალხო დეპუტატთა არჩევნების შემდგომ ეტაპზე. სკკპ ცენტრალური კომიტეტის, მინისტრთა საბჭოს მრავალრიცხოვანი დადგენილებების, ერთობლივი დოკუმენტების შეუსრულებლობამ მოჰყვა ის, რომ ადამიანებმა წამოაყენეს პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მოთხოვნები. ამ ვითარებაში, დეპუტატის აზრით, საჭიროა აღვადგინოთ ხალხის დაკარგული ნდობა. უმაღლესმა საბჭომ უნდა გამოთქვას თავისი მკაფიო, მტკიცე აზრი: რომელი პირველი რიგის კანონები უნდა მივიღოთ, როგორ შევუმსუბუქოთ ხვედრი ადამიანებს, რომლებიც იძულებული არიან მიმართონ უკიდურეს ღონისძიებებს.

ჯერ კიდევ სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე, აღნიშნა ორატორმა, უნდა მიგვეღო რამდენიმე კონკრეტული, წინასწარ მომზადებული კანონი მშრომელი ადამიანის ინტერესებისათვის. მაგრამ დოკუმენტი სოციალური სამართლიანობის, შეღავათებისა და პრივილეგიების ჩამორთმევის შესახებ ყრილობას არ მიუღია, შეიქმნა მხოლოდ კომისია, რაც, დეპუტატის აზრით, საქმის მორიგი გაჭიანურებაა.

სიტუაციას ამწვავებს ადგილობრივი საბჭოთა და პარტიული ორგანოების უმოქმედობაც, დაბნეულობაც, რომლებიც დარწმუნებულნი არიან, რომ დამარცხდებიან ადგილობრივი საბჭოების არჩევნებში, მიაჩნია ორატორს. ეს იწვევს იმას, რომ ათასობით ადამიანს ვერ უპოვია სამართალი ადგილებზე და მის საძებნელად მოდის მოსკოვში, თავისი გაჭირვების გამო მიმართავს სახალხო დეპუტატებს.

დეპუტატმა **ს. ი. კოლიჩნიკოვმა** მოუწოდა დამსწრეთ პრინციპულად შეაფასონ ვითარება და დასახონ მოქმედების შემდგომი პროგრამა. საქმის ვითარების გამწვავების ყოველ კონკრეტულ შემთხვევას საფუძვლად უძევს თავისი მიზეზი. მაგრამ არის ზოგადი მიზეზებიც: ისინი ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებშია. მშრომელის გაუცხოება საკუთარი შრომისაგან, ბიუროკრატიული აპარატის ძალაუფლების შენარჩუნება — ყოველივე ეს აყოვნებს ცვლილებათა მიმდინარეობას.

მრავალი გაზეთი, აღნიშნა ორატორმა, კმაყოფილებით იტყობინება, რომ გაფიცულები არ აყენებენ პოლიტიკურ მოთხოვნებს. მაგრამ კარგია ეს? პოლიტიკური მიმართულება ხომ თვით ძალაუფლების საკითხის არსია. შექმნილ ვითარებაში ვლინდება ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების უმოქმედობა. ბევრგან ისინი, როგორც ორატორმა თქვა, პარალიზებული არიან მომავალი არჩევნების წინაშე შიშით.

ჩვენში, აღნიშნა დეპუტატმა, მუშაკაცი ბატონ-პატრონად არის გამოცხადებული, მაგრამ განა ყოფილა ისტორიაში შემთხვევა, რომ ბატონ-პატრონი გაფიცულიყოს? ამ სიტუაციაში, განაგრძო მან, ცხადი ხდება, რომ საკანონმდებლო საქმიანობის ის ტემპი, რომელიც ახლა განისაზღვრა უმაღლეს საბჭოში, დღეს აღარ არის საკმარისი. დეპუტატის წინადადებაა დროებით შეწყდეს, მისი აზრით, ნაკლებად აქტუალური კანონპროექტების განხილვა და უმაღლესი საბჭოს კანონშემოქმედებითი მუშაობა წარიმართოს ისეთი მიმართულებებით, როგორიც არის საკუთრების (მათ შორის სამრეწველო საწარმოებისა და მიწის საკუთრების) საკითხები, იჯარის, რეგიონალური სამეურნეო ანგარიშის, ადგილობრივი საბჭოების რეალური ძალაუფლების უზრუნველყოფის საკითხები.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).

გაგრძელება, დასაწყისი იხ. „კომუნისტი" № 171.

ურთიერთგაგებისა და ამხანაგობის ვითარებაში

25 ივლისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე მ. ს. გორბაჩოვი შეხვდა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის თავმჯდომარეს რ. ნიერშს და უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის გენერალურ მდივანს კ. გროსს, რომლებიც მოსკოვში სამუშაო ვიზიტად ჩამოვიდნენ.

საუბრის დროს განიხილეს სოციალიზმის განახლების თანამედროვე ეტაპის პრობლემები, საბჭოთა კავშირ-უნგრეთის თანამშრომლობის საკითხები.

მ. ს. გორბაჩოვმა აღნიშნა, რომ დღეს სოციალისტურ სამყაროში მიმდინარეობს სოციალიზმის აღორძინების გზების ძიება მის ნამდვილ ღირებულებათა ბაზაზე. უდავოა, რომ ცალკეული ქვეყნების პირობები საკმარისად განსხვავებულია საიმისოდ, რომ არსებობდეს ყველასათვის უნივერსალური რეცეპტი. მაგრამ მიუხედავად ამისა, საერთო მნიშვნელი, საერთო ორიენტირი არის — გავიყვანოთ სოციალიზმი თვისებრივად ახალ ორბიტაზე თავისუფალი ადამიანების საზოგადოების შექმნისათვის, რომლებიც პასუხს აგებენ თავისი ეკონომიკური და სოციალური ქცევისათვის, იქნებიან თავიანთი ცხოვრებისა და თავიანთი ქვეყნის პატრონები, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

საბჭოთა გარდაქმნის გამოცდილება ცხადყოფს, რამდენად ძნელი და მასშტაბურია ეს ამოცანა. საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ წამოაყენა საბჭოთა საზოგადოების განახლების პროგრამა. მაგრამ იმისათვის, რომ ამ პროგრამამ გააერთიანოს თავის გარშემო საზოგადოება, გახდეს მოქალაქეთა უმრავლესობის მიზანი, პარტია მბრძანებლური ძალიდან თავად უნდა გადაიქცეს ჭეშმარიტ პოლიტიკურ ავანგარდად, დაეუფლოს ახალ პირობებში პოლიტიკური ბრძოლის ხელოვნებას, ისწავლოს არგუმენტების ძალით მასებზე ზემოქმედების მოხდენა. ამას ვერ მივაღწევთ, თუ ძირეულად არ განახლდა თვით პარტია, თანამიმდევრულად არ მოხდა მისი მუშაობის შინაარსის, მეთოდებისა და სტილის დემოკრატიზაცია, არ განხორციელდა ახალი დემოკრატიული საკადრო პოლიტიკა. მაგალითად, პრაქტიკული საქმე — აი, რა გვჭირდება ახლა ყველაზე მეტად. ამ ასპარეზზე წყდება სწორედ დღეს გარდაქმნის წარმატება.

რ. ნიერშმა და კ. გროსმა განაცხადეს, რომ უნგრელი კომუნისტები გულწრფელად არიან დაინტერესებული საბჭოთა გარდაქმნით. უნგრელი კომუნისტები მაღალ შეფასებას აძლევენ იმას, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია სოლიდარობს უნგრეთში მიმდინარე განახლების პროცესებს, გაგებით ეკიდება სიძნელეებს, რომლებსაც აწყდება უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტია.

უნგრელმა ხელმძღვანელებმა გულახდილად ილაპარაკეს რთულ პრობლემებზე, რომლებთანაც დაკავშირებულია განახლებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოდელის ფორმირების გზების ძიება. საზოგადოებაში და პარტიაში მწვავე დისკუსიები იმართება ქვეყნის ისტორიის, თანამედროვე მდგომარეობისა და მომავლის საკითხების გამო. ყველა საკითხი როდია ნათელი. უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტია განიცდის იდეური და პოლიტიკური განწმენდის პერიოდს. მნიშვნელოვანი სტიმული მიანიჭა შიდაპარტიული ცხოვრების გამოცოცხლებას პარტიის ყრილობისათვის დაწყებულმა მზადებამ. იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს უნგრეთის მომავალ, პირველ მრავალპარტიულ არჩევნებთან დაკავშირებითაც.

საუბრის დროს მხარეებმა აღნიშნეს, თუ რა სარგებლობა მოაქვს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ხელმძღვანელთა ბოლო დროს გააქტიურებულ კონტაქტებს. ორივე მხარე ისწრაფვის, უფრო ნაყოფიერი იყოს საზოგადოებრივი გარდაქმნების გამოცდილება, ხელი შეუწყოს ადგილობრივ დონეზე პარტიათშორისი ურთიერთობების განვითარებას, სოციალიზმის განახლების აქტიურად მონაწილე საზოგადოებრივ მოძრაობებთან კონტაქტების დამყარებას.

საუბრის მონაწილეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ვერაფერი ვერ შეცვლის ორივე ქვეყნის განვითარებისათვის ხელსაყრელი ეკონომიკური თანამშრომლობის მნიშვნელობას. იმისათვის, რომ დაიძლიოს აქ არსებული პრობლემები, სამეურნეო მექანიზმი უნდა გარდაიქმნას ეკონომიკური ურთიერთობის სასაქონლო-ფულადი საფუძვლების გაფართოების, წარმოებასა და მეცნიერებაში უფრო ღრმა კოოპერირების გზით.

საუბრის მონაწილეებმა ერთსულოვანი შეფასება მისცეს თანამედროვე საერთაშორისო ვითარებას, მასში ჩაქსოვილი შესაძლებლობების გამოვლენის გზებს, მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების, ევროპის სახელმწიფოებისა და მსოფლიო მასშტაბით ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის განვითარების ინტერესებს რომ ემსახურება.

საუბრის დროს შეეხნენ უნგრეთის ტერიტორიაზე საბჭოთა ჯარების შემდგომი ყოფნის საკითხებს და დათქვეს, განახორციელონ ახალი ღონისძიებანი მათ შესამცირებლად ევროპის კონტინენტზე განიარაღების პროცესებისა და ვენის მოლაპარაკებაზე მიღწეული პროგრესის შესაბამისად.

მ. ს. გორბაჩოვმა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ხელმძღვანელებს, კომუნისტებსა და მთელ უნგრელ ხალხს უსურვა წარმატებები ახლანდელი ეტაპის პასუხსაგები ამოცანების გადაწყვეტაში, მათი გეგმების სრული რეალიზაცია და იმედების ასრულება.

საუბარმა, როგორც საბჭოთა და უნგრელი ხელმძღვანელების წინა შეხვედრებმა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ურთიერთობისათვის ტრადიციული ამხანაგობისა და ურთიერთგაგების გულთბილ ვითარებაში ჩაიარა. საუბარში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ნ. იაკოვლევი.

(საკდესი).

შეხვედრის დროს. საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

26 ივლისს გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომა. მოისმინეს ინფორმაცია ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის მუშაობის შესახებ აფხაზეთში იქ შექმნილ რთულ ვითარებასთან დაკავშირებით. აღინიშნა, რომ ეს საქმიანობა კიდევ უფრო ინტენსიურად და პრინციპულად უნდა გაგრძელდეს ავტონომიურ რესპუბლიკაში პოლიტიკური სიტუაციის შემდგომი სტაბილიზაციის, დამნაშავეთა და წამქეზებელთა მთლიანად გამოვლენისა და დასჯის, პარტიული, საბჭოთა და სამართალდამცავი ორგანოების კადრების განახლებისა და განმტკიცების, მათი მუშაობის სტილის, ფორმებისა და მეთოდების არსებითი სრულყოფის, მდგომარეობის რადიკალური გაუმჯობესების ყველა მიმართულებით.

გადაწყდა, აფხაზეთში, აგრეთვე ქვემო ქართლის რეგიონში მომხდარ მოვლენებს სათანადო პოლიტიკური შეფასება მიეცეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მორიგ პლენუმზე.

მოისმინეს ცენტრალური კომიტეტის მდივნის ბონდო ჯიქიას ინფორმაცია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისა და ამ პროდუქტებით თბილისისა და სხვა ქალაქების მომარაგების შესახებ. აღინიშნა, რომ დიდი უამინდობის მიუხედავად, მოსახლეობა ძირითადი სახეობის სურსათით ნორმალურად მარაგდება.

ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ალექსანდრე პავშენცევმა ბიუროს მოახსენა მომავალი პლენუმისათვის მზადების შესახებ, რომელშიც სულ უფრო აქტიურად ერთვებიან პარტიული ორგანიზაციები და ჩვენი საზოგადოებრიობის ფართო ფენები.

ნ. ი. რიჟკოვი შეხვდა მეშახტეთა წარმომადგენლებს

25 ივლისს კრემლში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ი. რიჟკოვი შეხვდა პეჩორის ქვანახშირის აუზის, აგრეთვე დნეპროპეტროვსკის ოლქის ქალაქ პავლოგრადის შახტების საგაფიცვო კომიტეტების წარმომადგენლებს.

განიხილეს წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების, მეშახტეთა ცხოვრების პირობების მოგვარების საკითხები. მუშებმა მწვავედ გააკრიტიკეს დაგეგმვის დრომოჭმული მეთოდები, მერყევი მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება, ყურადღება მიაპყრეს იმას, რომ საჭიროა ძირფესვიანად შეიცვალოს დარგის საწარმოთა მართვის სისტემა. მათ თქვეს აგრეთვე, რომ მრავალ შემთხვევაში შეიძლებოდა თავიდან აეცილებინათ გაფიცვები, კოლექტიური შრომითი კონფლიქტების გადაჭრის ეფექტიანი მექანიზმი და სამართლებრივი საფუძველი რომ არსებობდეს.

სხვადასხვა ქვანახშირის აუზის მაღაროელთა მოთხოვნები, აღნიშნა ნ. ი. რიჟკოვმა, მნიშვნელოვანწილად ემთხვევა ერთმანეთს, და ეს ადასტურებს, რომ დარგში, სხვადასხვა ქვანახშირის მომპოვებელი რაიონის სპეციფიკის მიუხედავად, არსებობს საერთო სერიოზული პრობლემები. როგორც უკვე ითქვა მოსკოვსა და ადგილებზე მეშახტეთა წარმომადგენლებთან შეხვედრებზე, მათ მიერ აღძრულ საკითხებზე მთავრობის გადაწყვეტილებანი გავრცელდება მთელ დარგზე, ესე იგი, თანაბარი ძალა ექნება კუზბასის, ყარაგანდის, დონბასის, ვორკუტისა და სხვა ქვანახშირისა და ფიქლის აუზებისათვის. ამავე დროს, გადაწყვეტილებებში აისახება თითოეული მათგანის თავისებურებანიც.

ამჟამად მთავრობაში მეშახტეთა საგაფიცვო კომიტეტების წარმომადგენლების მონაწილეობით ამუშავებენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს ამ კომიტეტებისა და კომისიების მიერ ხელმოწერილ შეთანხმებული ღონისძიებების ოქმებში ჩამოყალიბებულ პოზიციებს და მზადდება შესაბამისი დადგენილება. გათვალისწინებულია ეს მუშაობა დამთავრდეს აგვისტოს პირველ რიცხვებში.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა ქვეყნის მთელი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის ცხოველმოქმედების უზრუნველყოფისათვის ქვანახშირის მრეწველობის დიდი მნიშვნელობა და თქვა, რომ უაღრესად საჭიროა, რაც შეიძლება მალე შეწყდეს გაფიცვები. მან დიდად დააფასა ორგანიზებულობა და კეთილსინდისიერება, რომლებსაც ავლენენ ყველგან კუზნეცკისა და ყარაგანდის აუზების შრომითი კოლექტივები, რომლებიც მუშაობას შეუდგნენ, აგრეთვე დონბასის სულ უფრო მეტი რაოდენობის შახტების კოლექტივები, რომლებმაც შეწყვიტეს გაფიცვა.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ლ. ა. ვორონინი, სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის მინისტრის პირველი მოადგილე ა. გ. კორკინი, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატები ა. ს. ვუიჩიცკი, გ. მ. კუროჩკა, ვ. პ. ლუშნიკოვი და ვ. ნ. მაქსიმოვი.

(საკდესი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

ამხ. ა. გ. გოგელიას საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. არჩილ გრიგოლის ძე **გოგელია** საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ო. ჩერქეზია.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ვ. კვარაცხელია.

თბილისი, **1989 წლის 26 ივლისი.**

• • •

არჩილ გრიგოლის ძე გოგელია დაიბადა 1941 წელს, ქართველია, სკკპ წევრია 1977 წლიდან, აქვს უმაღლესი განათლება, 1962 წელს დაამთავრა საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი, ხოლო 1967 წელს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი.

უნივერსიტეტში სწავლისას და მისი დამთავრებიდან პირველი ორი წლის მანძილზე საჰონორარო საწყისებზე მუშაობდა გაზეთ „ლელოს" შტატგარეშე კორესპონდენტად. 1969 წლიდან იყო საქართველოს სსრ სახტელერადიოს სპორტულ გადაცემათა რედაქციის რედაქტორი, შემდეგ გაზეთ „ლელოს" კორესპონდენტი, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილების გამგე.

1975-1977 წლებში ამხ. ა. გ. გოგელია მუშაობდა ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების" უფროს რედაქტორად და იმავდროულად იყო ამ ჟურნალის ყოველკვარტალური დანართის — „მართვეს" რედაქტორი. შემდეგ დაინიშნა ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების" მთავარი რედაქტორის მოადგილედ, ხოლო 1979-1984 წლებში იყო ამ ჟურნალის მთავარი რედაქტორი. შემდეგ იგი მუშაობდა გაზეთ „ლელოს" რედაქტორად, გაზეთ „კომუნისტის" რედაქტორის პირველ მოადგილედ.

1985 წლიდან დღემდე ამხ. ა. გ. გოგელია გაზეთ „თბილისის" რედაქტორი იყო.

ა. გ. გოგელია პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის წევრია, ცოლშვილიანია, ჰყავს ორი შვილი.

სამშენებლო კომპლექსი: როგორ წარვმართოთ განვითარება?

ზურაბ ლაბახუა,
რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს სახმშენის თავმჯდომარე

გავიდა ძნელი მეთორმეტე ხუთწლედის სამწლიწად-ნახევარი. იგი დაძაბულად მიმდინარეობს. სახალხო-სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტა გვიხდება, ერთი მხრივ, გაზრდილი საზოგადოებრივი თვითშეგნებისა და, მეორე მხრივ, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების მკვეთრი გამწვავების პირობებში, რასაც თან ერთვის მწვავე გართულებანი ეროვნებათშორის ურთიერთობაში, ეს უკანასკნელი დაღს ასვამს სახალხო მეურნეობის განვითარებას, რომელიც უშუალოდ არის დამოკიდებული პოლიტიკურ სიტუაციაზე.

სამწუხაროდ, არც კაპიტალური მშენებლობაა გამონაკლისი. იგი პრაქტიკულად ისევე რთულად ვითარდება, როგორც ეკონომიკის სხვა დარგები. მიღებული ზომების, ბოლო დროს მშენებლობისათვის გაწეული საფინანსო დახმარების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების ღონისძიებების, სიტუაციის შესაცვლელად მშენებელთა მოწინავე ნაწილის აქტიური ღვწის მიუხედავად ჯერჯერობით არსებით ცვლილებებს ვერ მივაღწიეთ, თუმცა პროგრესის სიმპტომები შეიმჩნევა. წარსულის შეცდომების ტვირთი, ფინანსური სიძნელეების შედეგები დღესაც იჩენს თავს.

მაგრამ ამასთანავე უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველაფერი მარტოოდენ წარსულის ბრალი არ არის. სამწუხაროდ, დღესაც ასევე მოგვდის შეცდომები, გვაქვს ხარვეზები, მოისუსტებს სამშენებლო საქმის ორგანიზაცია როგორც სამშენებლო მოედნებზე, ისე ახლად შექმნილ გაერთიანებებსა და თვით სახმშენში. უარყოფითს გავლენას ახდენს საერთო მდგომარეობაზე უსაშველო რეორგანიზაციაც სამშენებლო კომპლექსში. აი ახლაც, მორიგი რეორგანიზაცია მზადდება. საქმე ის არის, რომ ახლანდელი სახმშენის სტრუქტურა სრულყოფილი ვერ არის და უსწრაფეს არსებით კორექტივებს მოითხოვს. ეს აზრი პირველად არ წამოგვიყენებია, მასზე უკვე წელიწადზე მეტია ვლაპარაკობთ. უკვე ჩამოყალიბებულია წინადადებანი ამასთან დაკავშირებით, ისინი შემუშავდა რესპუბლიკის ინტერესებისათვის და მთლიანად ქვეყნის მასშტაბით კაპიტალური მშენებლობის სფეროს მომავალი ცვლილებების შესაბამისად. ამასთან გათვალისწინებულია რესპუბლიკის სპეციალისტთა კოლექტიური პროფესიული აზრიც და კონცეფციებიც, რომლებიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე გამოითქვა ქვეყნის მომავალი, პრინციპულად ახალი, სახმშენის ახალი თავმჯდომარის დამტკიცებისას.

ნავარაუდევია, რომ სსრ კავშირის სახმშენი განსაზღვრავს სტრატეგიულ ტექნიკურ პოლიტიკას კაპიტალურ მშენებლობაში, იმუშავებს იმ საკითხთა გადასაწყვეტად, რომლებიც ეხება მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებას, სპეციალური სამშენებლო ორგანიზაციების ხელმძღვანელობას, სრულყოფს საპროექტო საქმეს, ნორმატიულ და საინფორმაციო ბაზას, აამაღლებს ექსპერტიზის როლს. მეტი ყურადღება დაეთმობა მმართველობისა და სამეურნეო მექანიზმის სრულყოფას, საგარეო მეცნიერულ-ტექნიკურ და ეკონომიკურ ურთიერთობას. მთელი საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობა მთლიანად გადაიცემა რესპუბლიკების განკარგულებაში, მათი პასუხისმგებლობითა და დამოუკიდებლობით.

ჩვენს მომავალ სტრუქტურაში ამასაც გავითვალისწინებთ, ამავე დროს გავაფართოებთ ტრესტების, სახლთსაშენებელი კომბინატებისა და ტერიტორიული გაერთიანებების უფლებებს, გავაძლიერებთ მათს დამოუკიდებლობას. ბევრი წინადადებაა შემოსული ადგილებიდან, მათ ახლა ვაზოგადებთ, და მისაღებ წინადადებებს გავითვალისწინებთ მართვის საბოლოო სქემაში.

მიმდინარე წლის პირველი ნახევარი მძიმე პირობებში მიმდინარეობდა. მთლად ვერ გაგვიმართლდა პირვანდელი დამაიმედებელი პროგნოზები. წლის დამდეგიდან საექსპლოატაციოდ გადაიცა 454,9 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, რაც აღემატება პირველი ნახევარწლეულის საგეგმო დავალებას. რამდენადმე გაუმჯობესდა საბინაო მშენებლობის ხარისხი, თუმცა ვერ მიაღწია სასურველ პარამეტრებს. საბინაო მშენებლობაში კარგად გაისარჯნენ „თბილისქალაქმშენის“ გაერთიანებანი და მთლიანად „საქმრეწვმოქალაქმშენი“. შეასრულა ნახევარი წლის გეგმა საბინაო და სოციალურ-კულტურული, საყოფაცხოვრებო ობიექტების მიხედვით „საქაგრომრეწვმაც“, მაგრამ სამუშაოთა ხვედრითმა წილმა წლიურ მოცულობაში აქ შეადგინა უაღრესად დაბალი დონე — სულ 22 პროცენტი, რაც დაგეგმვის სერიოზულ ხარვეზებს მოწმობს. გადაჭარბებით შესრულდა დავალებანი სლავუტიჩში, ტიუმენში, მთლიანად არის ათვისებული გამოყოფილი სახსრები სომხეთში (სახმშენის ხაზით). გადაჭარბებით სრულდება საკუთარი საწარმოო ბაზის ობიექტების მშენებლობის გეგმები. სტაბილურად და საიმედოდ მუშაობს საქართველოს „მთავარმონტაჟსპეცმშენის“ მთავარი სამმართველო. აი, კაცმა რომ თქვას, ძირითადად მთელი ჩვენი მიღწევები. საამაყო, სამწუხაროდ, დღესდღეობით სხვა არაფერი გვაქვს.

უწინარესად უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ ხანს ჩვენ შევამცირეთ სამუშაოების მოცულობა, მეტადრე სახსრების ათვისება საბინაო მშენებლობაზე. და ამით ჩაშლის საფრთხე შევუქმენით „ბინა-2000“ ეროვნული პროგრამის განხორციელებას. შექმნილი მდგომარეობის მთავარი მიზეზია ჩამორჩენა სამშენებლო ბაზის განვითარებაში. ძვრები, რომლებსაც უკანასკნელ ხანს მივაღწიეთ ამ დარგში, დღეს უკვე ვეღარავის დააკმაყოფილებს. სიტუაცია მოითხოვს ყოველი დაბანდებული მანეთის უსწრაფეს, ეფექტიან უკუგებას. ჯერჯერობით სიმძლავრეთა სრული ძალით ამოქმედება ძალზე ნელა მიმდინარეობს. ასამუშავებელ ობიექტებში კრიზისული მდგომარეობა შეიქმნა. მოწყობილობის უქონლობის გამო ჭიანურდება რუსთავის სახლთსაშენებელი კომბინატის მშენებლობა, ბრკოლდება თბილისის № 1 და № 4 სახლთსაშენებელი კომბინატების რეკონსტრუქცია. ისევე როგორც შარშან, ახლაც ჩაშლის საფრთხე ექმნება თბილისის სახლთსაშენებელი კომბინატის ექსპლოატაციას, რომელიც სახუროე ნაკეთობებს აწარმოებს. და ეს ხდება იმ დროს, როდესაც მშენებლები წლების მანძილზე განიცდიან ამ ნაწარმის მწვავე ნაკლებობას.

წინანდელთან შედარებით უფრო მეტად ვითვისებთ კაპიტალურ დაბანდებას საკუთარი ბაზების გასავითარებლად. ამასთან ჩვენი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების ღონისძიებანი მარტოოდენ სიმძლავრეთა რაოდენობრივ ზრდას როდი გულისხმობს. მთავარი ის არის, რომ უახლოეს მომავალში მათ უნდა დააკმაყოფილონ ყველაზე დახვეწილი არქიტექტორული ჩანაფიქრი. სამშენებლო კომპლექსის მუშაობის ეფექტიანობის ინტერესებისათვის ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ მჭიდრო თანამოქმედება მის ყველა მონაწილესა და მომიჯნავეებს შორის. ამასთან დაკავშირებით არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ უაღრესად ნელა მიმდინარეობს ნაკლოვანებათა აღმოფხვრა რკინიგზის ტრანსპორტით საშენი მასალების გადაზიდვაში.

მაგრამ უნდა ითქვას, ისიც, რომ მასალებით მშენებლობათა უზრუნველყოფის შეფერხება ყოველთვის როდია ტრანსპორტელების ბრალი. საქართველოს საშენ მასალათა გაერთიანება, თუმცა მთლიანად შეასრულა ნახევარი წლის გეგმა, არცთუ იშვიათად ურიგდება მიწოდების ჩაშლას, მდარეა პროდუქციის ხარისხიც, ეს განსაკუთრებით შეუწყნარებელია ახლა, როდესაც უნდა გადავწყვიტოთ დიდი ეროვნული პრობლემა — უზრუნველვყოთ საცხოვრებელი ბინებით აჭარიდან და სვანეთიდან ბარად ჩამოსახლებულნი. ღირსეულად გაართვან თავი ამ ამოცანას — ეს თითოეული მშენებლის მუშისა თუ ხელმძღვანელის პატრიოტული ვალია.

გაცილებით უფრო რთულია თავისი ამოცანებით მეორე ნახევარწლეული. საექსპლოატაციოდ უნდა გადავცეთ 787 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ბინები, სკოლები, საავადმყოფოები, საბავშვო ბაღები...

მწვავედ დგას დაუმთავრებელი მშენებლობის საკითხი. აქ საგანგებო ვითარება შეიქმნა, და სწორედ ამიტომ, საგანგებო ღონისძიებებია საჭირო, თორემ შეიძლება მთელი შრომა წყალში ჩაგვეყაროს. კაპიტალურ დაბანდებათა გამკვდარება ჩვენში უკვე მიმდინარეობს. დღეს რესპუბლიკაში დაუმთავრებელი წარმოების მოცულობა შეადგენს კაპიტალური დაბანდების 114 პროცენტს. ეს ცუდია, იგი საკავშირო მაჩვენებელს აღემატება. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა რესპუბლიკის ყველა მშენებლობის ინვენტარიზაციისათვის იმ მიზნით, რომ განვსაზღვროთ სამშენებლო ობიექტებში სამუშაოთა განგრძობის მიზანშეწონილობა, დავადგინოთ რამდენად შეესაბამება მათი ტექნოლოგიები სადღეისო და პერსპექტიულ სტანდარტებს. შესაძლოა, ამასთან იძულებული გავხდეთ შევაჩეროთ მშენებლობათა ნაწილი, რაც შესაძლებლობას მოგვცემს თავი მოვუყაროთ მთელ ძალებს საცხოვრებელი ბინების, სოციალურ-კულტურული, საყოფაცხოვრებო ობიექტებისა და განსაკუთრებით საჭირო სახალხო-სამეურნეო ნაგებობების მშენებლობაზე.

სამწუხაროდ, მშენებლებიც და შემკვეთნიც უკიდურეს ინერტულობას იჩენენ ამ საგანგებო ვითარების პირობებში. არადა, ერთობლივი ძალისხმევა ამ მიმართულებით ძალზე ბევრს მოგვცემდა. მიმდინარე წლის ასამოქმედებელი ობიექტების მაგალითით კარგად ჩანს, თუ რა ეფექტი მოაქვს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების უცილობელ შესრულებას და ძირითადი ფონდების ამოქმედებას. მაგალითად, თბილისის სამსხმელო მოწყობილობის ქარხანაში სულ 600 ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობის შესრულების შემთხვევაში მივიღებთ 17 მილიონ მანეთისაზე მეტი ოდენობის ძირითადი ფონდების ამოქმედებას. თბილისის ლინოლეუმის ქარხანაში 200 ათასი მანეთის ათვისება მოგვცემს ძირითად ფონდებს 13,5 მილიონი მანეთის მოცულობით, ასეთი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება.

კვლავ მწვავედ დგას მშენებლობის ხარისხის საკითხი. საქართველოს სახმშენის სახელმწიფო სამშენებლო ინსპექციის მონაცემებით, მიმდინარე წელს შემოწმებული ობიექტების საერთო მოცულობიდან 22 პროცენტი აგებულია ხარისხის პარამეტრების დარღვევით, რასაც შედეგად მოჰყვა მშენებლობის აკრძალვა, ხოლო 72 პროცენტს არსებითი დეფექტები აქვს.

დასკვნა მხოლოდ ერთია — საქართველოს სახმშენმა მკვეთრად უნდა გააძლიეროს მომთხოვნელობა, გამოიჩინოს შეუწყნარებლობა საქმისადმი არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულების ყოველი ფაქტის გამო. თუ რა შეიძლება მოგვიტანოს საპირისპირო სიტუაციამ, ყველასათვის კარგად არის ცნობილი. სომხეთის მწარე გაკვეთილმა ბევრი რამ უნდა გვასწავლოს, უწინარეს ყოვლისა, გვასწავლოს, რომ აუცილებელია უდიდესი პასუხისმგებლობა მშენებარე ობიექტების ხარისხისათვის. როდესაც ხარისხზე ვლაპარაკობთ, უნდა ითქვას შემდეგი: მეტისმეტად ბევრი ხომ არა გვყავს ხარისხის მაკონტროლებელი ორგანოები? სამშენებლო ინსპექცია და ტექნიკური ზედამხედველობა, სახელმწიფო არქიტექტურული სამშენებლო კონტროლი და სახმიღება... ამ საკითხს უთუოდ უნდა დავუბრუნდეთ დასახული ცვლილებების საერთო კომპლექსში. სხვათა შორის ეს ითქვა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზეც, ეს საკითხი დააყენა აგრეთვე ჩვენმა სახალხო დეპუტატმა, მშენებელთა ბრიგადირმა ანატოლი დიხტიარმა.

რამდენიმე სიტყვა საკავშირო საიჯარო ორგანიზაციების მუშაობაზე. საგანგაშო მდგომარეობა შეიქმნა „თბილისგვირაბმშენში“, სადაც დაშვებულია ჩამორჩენა 24 მილიონი მანეთის ოდენობით. ამის მიზეზია ტერიტორიის დაგვიანებით გამოთავისუფლება, მუშახელისა და მექანიზმების დეფიციტი, რაც შეიძლება აღმოიფხვრას.

უფრო რთულად არის საქმე „საქჰიდროენერგომშენში“. ერთ დროს მოწინავე ორგანიზაცია გეგმას ვეღარ ასრულებს. მიზეზი ყველასათვის ცნობილია — სამუშაოების შეწყვეტა ხუდონჰესზე სავსებით სამართლიან ეკოლოგიურ მოთხოვნებთან დაკავშირებით. მაგრამ იბადება კითხვა: როგორ მოვიქცეთ ახლა? ვაშენოთ მცირე ჰიდროელექტროსადგურები? გამოვიყენოთ ენერგიის არატრადიციული სახეობანი? ეს საკითხი რაც შეიძლება მალე უნდა გადაწყდეს, ამაზე ხომ საქართველოს ეკონომიკური მომავალია დამოკიდებული.

სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე ანუ, რაც მთავარია, სრულ ეკონომიკურ დამოუკიდებლობაზე რესპუბლიკის მომავალ გადასვლასთან დაკავშირებით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სამშენებლო ორგანიზაციათა ახლანდელ საფინანსო მდგომარეობას. ამ მხრივ ყველაფერი როდი გვაქვს რიგზე. საკმარისია გავაანალიზოთ დარგის ძირითადი გაერთიანების „საქმრეწვმოქალაქმშენის“ საქმიანობა. აქ საკუთარი საბრუნავი საშუალებების სხვაობამ ქრონიკული ხასიათი შეიძინა და სადღეისოდ 115 მილიონ მანეთს აღწევს. იტყობა, მოგვიწევს შევქმნათ შიდასამშენებლო ბანკები, რაც ხელს შეუწყობს შინაგანი დავალიანების აღმოფხვრას და მთლიანად საანგარიშსწორებო მექანიზმის სისტემის გაუმჯობესებას. მიზანშეწონილია აგრეთვე შეიცვალოს კაპიტალური მშენებლობის საბიუჯეტო ასიგნებანი ბანკის გრძელვადიანი კრედიტებით და გამოთავისუფლებული სახსრები მოხმარდეს ორგანიზაციებს, რომლებსაც ულიკვიდო ბალანსები აქვთ.

მაგრამ არც ეს არის საკმარისი. მშენებლობაში, მეტადრე საშენ მასალათა მრეწველობაში, საჭიროა უფრო გაბედულად ვნერგავდეთ საარენდო და კოოპერაციულ საწყისებს საქმის ორგანიზაციაში. სწორედ აქ არის მოქცეული დარგის ფინანსური კეთილდღეობის კოლოსალური რეზერვი.

და კიდევ ერთი გარემოება ამ ასპექტით. სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე არაერთგზის აღინიშნულა, რომ კაპიტალურ მშენებლობაში, განსაკუთრებით სოციალური სფეროს დარგში საქმის მდგომარეობისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ თვით რესპუბლიკებს. ეს უდავოდ უნდა მივიჩნიოთ მომავალი რესპუბლიკური ტერიტორიული სამეურნეო ანგარიშის დიდმნიშვნელოვან ფაქტორად. ეკონომისტებისათვის, სახალხო მეურნეობის სპეციალისტებისათვის დღეს ცხადია, რომ რესპუბლიკური სამეურნეო ანგარიში ვერ იმოქმედებს, თუ იგი რეგიონულმა ნაწილებმა არ შეადგინეს. მე მხედველობაში მაქვს ჩვენი ავტონომიური სახელმწიფო წარმონაქმნები და საქართველოს დიდი ქალაქები და რაიონები. ადგილებზე ეს მუშაობა მკვეთრად უნდა გამოვაცოცხლოთ კონკრეტიზაციის გზით, ამასთან გავითვალისწინოთ პერსპექტიული ამოცანები.

და უკანასკნელი. ახლანდელი, თვით ყველაზე მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური ამოცანები ვერ დაჩრდილავენ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ხასიათის პრობლემებს თუნდაც იმიტომ, რომ ისინი მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან. მაგრამ ახლანდელი სიტუაცია ამ კავშირურთიერთობაში განსაკუთრებულია, და არ შემიძლია არაფერი ვთქვა მის შესახებ, ვინაიდან, ეს არის ჩვენი სინდისის ხმა, ჩვენი ადამიანური მორალის ხმა, ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ძმობის ხმა, ჩვენი გულისთქმა.

ოდითგან ინტერნაციონალურ, გულუხვ და სტუმართმოყვარე საქართველოს დღეს ერთობ რთული, ძნელი დრო დაუდგა, ინსპირირებული ეროვნებათშორისი ბზარები, წარმოშობილი კონფლიქტები, რომლებსაც, ჩვენდა სავალალოდ, ტრაგიკული შედეგები მოჰყვა, დღეს გვიკარნახებს არა მარტო კეთილგონიერებას, ურთიერთპატივისცემას, მოთმინებასა და თავდაჭერას, არამედ, უწინარეს ყოვლისა და რაც მთავარია, ერთობლივ საერთო-სახალხო ძალისხმევას კომპრომისებისა და გონივრული ორმხრივი დათმობის მეშვეობით ნორმალური ცხოვრების სტაბილიზაციისათვის.

ჩვენ მოვალენი ვართ ქვითინსა და გოდებაში გავიგონოთ ბრძენ წინაპართა დარიგება, რომლებიც გონიერებისთვის მოგვიწოდებენ, არ უნდა შეურაცხვყოთ ჩვენი საერთო ადათი, რომლითაც საუკუნეთა მანძილზე გვიცხოვრია, თაყვანი ვცეთ ჩვენს კეთილშობილურ წარსულს და ვიღვაწოთ ჩვენი მომავალი თაობების ბუნებრივი ერთობლივი ბინადრობის სასიკეთოდ.

საქართველოს მშენებლები, რომელთა შორის ერთად ამოჰყავთ რესპუბლიკის მომავლის შენობა ქართველებსა და აფხაზებს, ოსებსა და რუსებს, სომხებსა და აზერბაიჯანელებს, ბერძნებსა და უკრაინელებს, ებრაელებსა და ქურთებს, სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებს მუდამ სამაგალითონი იყვნენ თავიანთი ინტერნაციონალური ძმობით, ერთობლივი აღმშენებლობითა და კეთილმეზობლობით.

ვკისრულობ პასუხისმგებლობას, და ყველა ჩემი კოლეგის — მშენებლების სახელით გამოვთქვამ იმედსა და რწმენას, რომ ამ ურთულეს მომენტში ქართველ მშენებელთა მრავალათასიანი არმია მთელ თავის ენერგიას და გულის მგზნებარებას დაუშურველად მოახმარს ჩვენი საერთო სახლის მტკიცე, ურღვევი მშენებლობის საქმეს.

დაე, ამ საშვილიშვილო მისიაში ნუ მოგვშლოდეს და შემწედ გვქონოდეს ჩვენი ზნეობა და ადათ-წესები, ჩვენი ალამისი, ჩვენი ხალხური სინდის-ნამუსი.

ეკოლოგია

ზემო რაჭის ტყეები შველას ითხოვს

ონის რაიონის მნიშვნელოვანი ბუნებრივი სიმდიდრე, მისი საუნჯე, მცენარეული საფარი ძირითადად ტყეებია, რომელთა საერთო ფართობი 50.266 ჰექტარია და უკავია დიდი დაქანების ფერდობები ღრმად ჩაჭრილი ხეობებით. ამ ტყეების ძირითადი დანიშნულებაა ისეთი ეკოლოგიური და სოციალური ფუნქციების შესრულება, როგორიცაა: ნიადაგდაცვითი, წყალმარეგულირებელი, წყალშენახვითი, თოვლის ზვავების შემკავებლის, კურორტოლოგიური, რეკრეაციული და სხვ. მერქნით სარგებლობა ამ ტყეებიდან, მოქმედი ჭრის წესების შესაბამისად, შედარებით შეზღუდულია.

სამწუხაროდ, უნდა ვაღიაროთ, რომ ღვთით მომადლებულ ამ საუნჯეს როგორც ეკადრება, ისე ვერ მოვუარეთ. ბევრგან ხელვყავით და ვერ ვუპატრონეთ ხელთუქმნელი ბუნების ისეთ ძეგლებს, როგორიც ზემო რაჭის მშვენება — წიფლის, ნაძვისა და სოჭის საუკუნოვანი, ხელუხლებელი კორომები იყო.

ამ ტყეების გაძლიერებული ექსპლოატაცია ძირითადად ომის შემდგომი პერიოდიდან დაიწყო. აქ მრავალი წლის მანძილზე მიმდინარეობდა უნებურამორჩევითი ანუ სამრეწველო ჭრა. ერთ ჰექტარ ტყის კორომში, ერთ ჯერზე ჩვეულებრივ იჭრებოდა 300-400 კუბური მეტრი მაღალხარისხოვანი ხე-ტყე, მის ადგილას კი რჩებოდა საშეშე, ფაუტიანი და მდარე ღირსების მქონე ხეები, რამაც მკვეთრად გააუარესა მთის ტყეების საერთო მდგომარეობა და ხარისხობრივი მაჩვენებლები. ჭრების შედეგად მეჩხერდებოდა მაღალი სიხშირის ტყეები, კორომების სიხშირე უკეთეს შემთხვევაში 0,5-მდე, ხოლო დიდ ფართობებზე 0,3 — 0,4-მდეც კი მცირდებოდა, რის გამო, ამჟამად ონის სატყეო მეურნეობის სახელმწიფო ტყის ფონდში 0,5 და უფრო დაბალი სიხშირის კორომებს მთელი ტყით დაფარული ფართობის 48,1 პროცენტი უკავია. ამ კორომებს მთის ტყეებისათვის დამახასიათებელი ეკოლოგიური ფუნქციების შესრულებისათვის საჭირო პარამეტრები მნიშვნელოვანწილად აქვს დაქვეითებული.

მეცნიერულად დასაბუთებულია, რომ დაცვითი ფუნქციების ოპტიმალურად შესრულება მთაში მხოლოდ მაღალი სიხშირის (0,7 და მეტი) კორომებს შეუძლიათ. ასეთი კორომები კი მთლიანად საქართველოს ტყის ფონდში მხოლოდ 15,7 პროცენტია და ისიც ცალკეული ფრაგმენტების სახით არის გადაადგილებული მიუდგომელ ან ძნელად მისადგომ ადგილებში. შესაბამისად, ონის სატყეო მეურნეობის ტყეებში მაღალი (0,7 და მეტი) სიხშირის კორომებს უკავია 12,9 პროცენტი.

დღეისათვის რაჭის ტყეები მთლიანად ჭრაგავლილია, მარტო ჭიორა-ღების უბანზე, ამ ბოლო პერიოდში, მთლიანად ათვისებულ იქნა თელნარის საყავრე ქედის, სადათვე ღელის, საგორავა-საჭვარის, ბერთაზიისა და ნოწარაულის ხელუხლებელი მაღალი მთის ტყის მასივები.

ის უარყოფითი შედეგები, რომლებიც ბუნებას უსისტემო, მათ შორის, სამრეწველო ჭრების შედეგად მიადგა, ძირითადად გამოიხატა ეროზიული პროცესების გააქტიურებაში, ახალი სელური და ღვარცოფული კერების წარმოქმნაში, საექსპლოატაციო ეროზიის გაძლიერებაში, თოვლის ზვავების გააქტიურებაში, სახნავ-სათეს ფართობებზე ტყის საერთო დადებითი გავლენის შესუსტებაში, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მნიშვნელოვანი ნაწილის გამოუყენებელი მიწების კატეგორიაში ინტენსიურ გადასვლაში და სხვ, ეს რაც შეეხება წარსულს, ამჟამად მიმდინარე ჭრების უარყოფითი შედეგები კი მთელი სიგრძე-სიგანით უახლოეს 5-10 წელიწადში იჩენს თავს. ასე მაგალითად, კურორტ შოვის შემოგარენში, ჭრებიდან რამოდენიმე წლის შემდეგ 1988 წელს სელური ხასიათის ღვარცოფი განვითარდა. ღვარცოფის მოვარდნის შედეგად დიდად დაზარალდა სოფელ გლოლის მოსახლეობა, იმდენად, რომ ადამიანთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით საჭირო შეიქმნა სასწრაფო ღონისძიებების განხორციელება. ამავე რეგიონის სხვა სოფლებში ღვარცოფებთან ერთად თოვლის ზვავებმაც იმძლავრა. სოფელ ჭიორაში ზვავმა დაანგრია საცხოვრებელი სახლი და ბევრი სხვა დამხმარე ნაგებობა. მარტო საგლოლო-ღების გზის 10 კილომეტრიან მონაკვეთზე, სადაც ლანდშაფტი ჯერ კიდევ ამ 20 წლის წინათ სტაბილურობით გამოირჩეოდა, 14 ახალი სხვადასხვა ფორმისა და სახის მკვრივი გამონატანის კონუსი წარმოიქმნა, გაჩნდა დამეწყვრის ახალი კერები და სხვ.

რაჭის ტყეებში მოიჭრა საკმარისზე მეტი ხე-ტყე, მეტის ატანა ტყეს აღარ შეუძლია. დღითი დღე ირღვევა ეკოლოგიური წონასწორობა, მით უმეტეს, რომ მთის ეკოსისტემები უაღრესად მყიფეა, ადვილად ზიანდება, მგრძნობიარე და ძნელად აღსადგენია განსაკუთრებით ტენიან გარემოში. მერქნით შემდგომი სარგებლობა ამ ტყეებიდან აუცილებლად გამოიწვევს სტიქიური პროცესების გააქტიურებას, რაც უიმედოს გახდის, საერთოდ, რაჭისა და, კერძოდ, მთის რაჭის ისედაც მძიმე დემოგრაფიულ სიტუაციას. სხვა გამოსავალი არ არის: სამრეწველო ჭრებს აქ წერტილი უნდა დაესვას.

ონის სატყეო მეურნეობის ტყეებში 1981 წლის ტყეთმოწყობის მასალების მიხედვით წლიურად უნდა იჭრებოდეს 11.8 ათასი კუბური მეტრი ხე-ტყე. ფაქტობრივად ბუნების დაცვისა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის გადაწყვეტილებით ყოველწლიურად ზედმეტად იჭრება 2,7 ათასი კუბური მეტრი მერქანი, ანუ ათწლიანი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მოიჭრება 27 ათასი კუბმეტრით მეტი, ვიდრე ტყეთმოწყობის პროექტით არის გათვალისწინებული. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ მომავალი წლიდან ამბროლაურის მექანიზებულ სატყეო მეურნეობას აეკრძალოს ონის სატყეო მეურნეობის ტყეებში 7.2 ათასი კუბმეტრი ხე-ტყის დამზადება, ხოლო ახალი ხუთწლედიდან საერთოდ აიკრძალოს სამრეწველო ჭრები ზემო რაჭის ტყეებში 10-15 წლის ვადით მაინც, — კიდევ ვიმეორებ. შთამომავლობა არ გვაპატიებს, რომ მთის რაჭაში, ფაქტობრივად ტყეში მცხოვრებ კაცს, სახლის გასამართად სამასალე მერქნის შემოტანა, ციმბირიდან დასჭირდეს. დღეს კი საქმე სწორედ აქეთკენ მიდის. დაფიქრება, მეცნიერთა აზრის გათვალისწინება გვმართებს. მთიანი აჭარის ეკოლოგიური კატასტროფა აღარ უნდა განმეორდეს, რიგში კი ზემო რაჭაა.

რევაზ ნოდარიშვილი,
სახალხო დეპუტატების ონის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

ავნებს ხორცსა, მერმე სულსა...

მემკვიდრეობა ცუდი გაგებით

ზესტაფონის უსინათლოთა საზოგადოების სასწავლო საწარმოში ბოლო წლებში რამდენჯერმე გამოვლინდა სახელმწიფო ქონების დატაცების ფაქტები, რისთვისაც დამნაშავენი დაისაჯნენ. მაგრამ რა გამოვიდა? ახალმოსულებმა ჯეროვანი დასკვნები ვერ გამოიტანეს წარსულის გაკვეთილებიდან, პირიქით, დატაცებამ უფრო ფართო ხასიათი მიიღო.

მაგალითად, ამას წინათ საწარმოს საამქროს უფროსმა ი. კვინიკაძემ უცნობ პირებს 50 ათასი მანეთის ქილის სახურავი და 5500 ცალი ცელოფანის პარკი მიჰყიდა და ამ გზით დაიტაცა 2025 მანეთი.

დანაშაული განაპირობა საწარმოში და ზოგიერთ სხვა დაწესებულებაში გამეფებულმა პროტექციონიზმმა და სხვა ნეგატიურმა მოვლენებმა.

ი. კვინიკაძე სხვადასხვა დროს მუშაობდა ადგილობრივი მრეწველობის საწარმოო გაერთიანებაში ჯერ მუშად, შემდეგ ბრიგადირად და ოსტატად. 1988 წელს შესრულებული სამუშაოს მდარე ხარისხისა და შრომის შინაგანაწესის უხეში დარღვევისათვის იგი გაანთავისუფლეს სამუშაოდან, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ დააწინაურეს შპალერის საამქროს უფროსად. მან აქაც ჩაიდინა დანაშაული, რისთვისაც სახალხო კონტროლის კომიტეტმა დასაჯა ადგილობრივი მრეწველობის დირექტორი გ. თურქაძე, ი. კვინიკაძეს კი გამოუცხადა სასტიკი საყვედური და დაითხოვა სამუშაოდან.

ერთი წლის შემდეგ გ. თურქაძე მას აძლევს ყალბ დადებით დახასიათებას უსინათლოთა საზოგადოების სასწავლო-საწარმოოში წარსადგენად, სადაც აღნიშნულია, რომ ი. კვინიკაძე... გამოირჩევა პასუხისმგებლობით, კეთილსინდისიერებით და მომკითხველობით.

ამასთან ერთად ისიც უნდა ითქვას, რომ პროტექციონიზმისათვის გ. თურქაძეს 1988 წელს რაიკომმა სასტიკი საყვედური გამოუცხადა და პირობით დატოვეს სამუშაოზე.

ერთი დეტალიც „მემკვიდრეობის“ შესახებ. ამავე დაწესებულებაში ექსპედიტორად მუშაობდა ტ. კვინიკაძე, რომელიც შემდეგ განთავისუფლდა სამუშაოდან. მისი რეკომენდაციით ტექნოლოგად მიიღეს მისივე სიძე, სხვა რაიონში მცხოვრები რ. გიორგაძე. როცა ისიც წავიდა სამუშაოდან, აქ მოიყვანეს დატაცებაში მხილებული ი. კვინიკაძე, ზემოაღნიშნული ტ. კვინიკაძის ღვიძლი ძმა.

ადგილობრივი მრეწველობის კომბინატისა და უსინათლოთა საზოგადოების სასწავლო საწარმოს ხელმძღვანელთა წინდაუხედავ მოქმედებას დაემატა შრომითი ბიუროს ხელმძღვანელთა შეცდომა, როცა ი. კვინიკაძეს უყოველგვარი აღრიცხვის და რიგის გარეშე მისცეს საგზური საწარმოში ოსტატის ვაკანტურ ადგილზე, თუმცა, ამ ბიუროში აღრიცხვაზე იყო საშუალო სპეციალური განათლების მქონე 44 პირი.

პროტექციონიზმსა და სხვა დანაშაულებრივ საქციელზე ამას წინათ იმსჯელა საქართველოს კომპარტიის ზესტაფონის რაიკომის ბიურომ. სასწავლო საწარმოს დირექტორი ა. მაისურაძე და ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის დირექტორი გ. თურქაძე გაათავისუფლეს თანამდებობიდან და დაედოთ პარტიული სასჯელი. ბიურომ დასაჯა სხვა პასუხისმგებელი პირებიც.

ბ. შარიქაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

სოფელი: დღის საზრუნავი

ყაირათიანად ეკიდებიან თავიანთ სავარგულებს კასპის რაიონის მეტეხის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის მიწათმოქმედები. საშემოდგომო ნათესებისაგან გამოთავისუფლებულ მინდვრებზე მაშინვე დაიწყეს ნიადაგის მომზადება სანაწვერალო სიმინდისათვის. ორას ჰექტარზე მიიღებენ საკვებს მეცხოველეობის ფერმებისათვის.

□

სურათებზე: ნიადაგის მომზადება სიმინდის სანაწვერალო ნათესებისათვის მეტეხის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობაში; კარგად მუშაობს ახალგაზრდა მექანიზატორი ვანო გეჯაძე.

საქინფორმის ფოტო.

აჭარლებისათვის სახლები დროულად უნდა აშენდეს!

საქართველოს ბევრ რაიონში გაჩაღებულია საიმისო მუშაობა, რომ ნორმალური საბინაო და სოციალურ-საყოფაცხოვრებო პირობები შეუქმნან მთიანი აჭარის მცხოვრებლებს, რომლებიც აქ სტიქიით დაზარალებული ადგილებიდან გადმოსახლდნენ. რესპუბლიკის საზოგადოებრიობა ყოველნაირად ეხმარება დაზარალებულებს, მაგრამ მშენებლობის ტემპი კვლავინდებურად ყოვნდება. მათთვის სახლების ასაშენებლად ნაკვეთების გამოყოფის, მშენებლების პროექტებით, საშენი და სხვა მასალებით, მექანიზმებით დროული უზრუნველყოფის საკითხები მთლიანად არ არის გადაწყვეტილი. ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები მთელ რიგ შემთხვევებში ჯეროვან დახმარებას არ უწევენ მშენებლებს. საქმის ვითარებით დაინტერესდა რუსთაველის საზოგადოება, რომლის წევრებმა შეამოწმეს შექმნილი ვითარება და კონკრეტული წინადადებანი შეიტანეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში.

რა გადაუდებელი ღონისძიებანი უნდა განხორციელდეს ნაკლოვანებათა ლიკვიდაციისათვის, გაცდენილის ანაზღაურებისათვის?

ეს საკითხები განიხილეს საქართველოს მინისტრთა საბჭოში გამართულ თათბირზე. მას უძღვებოდა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ოთარ ქვილითაია.

აღინიშნა, რომ ზამთრის დადგომამდე აჭარიდან გადასახლებულებისათვის უნდა აშენდეს 850 სახლი, გაისად — კიდევ 1335. უკვე ეს ციფრები მოწმობს, თუ რა უდიდესი სამუშაო უნდა გასწიონ მშენებლებმა. ახლა ყოველი წუთი უნდა აღირიცხოს, თითოეული ფაქტის გამო, რომელიც არღვევს მუშაობის დამტკიცებულ გრაფიკს, განგაში უნდა ავტეხოთ. ითქვა, რომ გადმოსახლებულნი ჯერჯერობით კვლავ ტურისტული ბაზების კარვებში, სასკოლო კლასებში, ვაგონებში, სახელდახელოდ მეკოწიწებულ სახლებში ცხოვრობენ.

ბინებს მათთვის აშენებენ ახალქალაქის, ბოგდანოვკის, მარნეულის, ბოლნისის, სიღნაღის, ლაგოდეხის, ყვარლის, საგარეჯოს, გარდაბნის, თეთრი წყაროს და სხვა რაიონებში. რაიონების ხელმძღვანელებმა უნდა შექმნან სამშენებლო სამუშაოთა ნორმალური წარმოების ყველა პირობა, გამოავლინონ და აამოქმედონ შინაგანი რეზერვები.

თათბირმა მოითხოვა უახლოეს დღეებში მთლიანად უზრუნველყონ მშენებლები საპროექტო-ტექნიკური დოკუმენტაციით, მასალებით, უწინარეს ყოვლისა ცემენტითა და მილებით. ამიერკავკასიის რკინიგზის, სხვა სატრანსპორტო ორგანიზაციების ხელმძღვანელობას მართებს უზრუნველყოს ახლად ათვისებულ რაიონებში მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შეუფერხებელი გაგზავნა. ვაჭრობის სამინისტრომ და ცეკავშირმა უკეთ უნდა მოამარაგონ ობიექტების მშენებლობაზე დასაქმებული მუშები და მოსამსახურეები, ყველა რაიონი, სადაც აჭარიდან გადმოსახლებულები დამკვიდრდნენ, — სამრეწველო და სასურსათო საქონლით. დაისახა სხვა ღონისძიებანიც.

(საქინფორმი).

მწვავე სიგნალი

ნუ დავთმობთ მოპოვებულ პოზიციებს

შავი ლითონის დამზადების მიმდინარე წლის პირველი ნახევრის გეგმა რესპუბლიკაში შესრულდა, მაგრამ ეს მოხდა იმათ ხარჯზე, ვინც გათვალისწინებულზე მეტი ჯართი ჩააბარა სახელმწიფოს. სერიოზულად მოეკიდნენ ამ საქმეს ქალაქების — თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, ფოთის, აგრეთვე ზესტაფონის, ზუგდიდის, აბაშის, მარტვილის, ლანჩხუთის, მაიაკოვსკის, სამტრედიის, თელავის, წალენჯიხის, ხონის რაიონების ლითონჩამბარებლები.

სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით წყალტუბოს, ახალქალაქის, ახმეტის, ბოგდანოვკის, ბოლნისის, ბორჯომის, დუშეთის, კასპის, ყვარლის, ლაგოდეხის, ოზურგეთის, მცხეთის, მარნეულის, სიღნაღის, თერჯოლის, თეთრი წყაროს და ხობის რაიონების ორგანიზაციებზე. ექვსი თვის გეგმის შესრულებას აფხაზეთმა 388 ტონა, აჭარამ 768 ტონა, ხოლო სამხრეთ ოსეთმა 123 ტონა ლითონი დააკლეს.

ათასობით ტონა ჯართი დააკლდა სახელმწიფოს თბილისის ელექტროშესადუღებელი მოწყობილობის, რუსთავის ფოლად-თუჯსხმულებისა და ამწესაშენებელი, ბათუმის ელექტრომექანიკური ქარხნების, „ჩარხმშენებლის“ საწარმოო გაერთიანების და თბილგვირაბმშენის“, საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების, მშენებლობის სამინისტროების, გეოლოგიის სამმართველოს, საქაგრომრეწვის მიზეზით.

ადრე კომკავშირი ერთ-ერთი აქტიური ლითონჩამბარებელი იყო, მაგრამ ახლა მდგომარეობა შეიცვალა. ნახევარ წელიწადში კომკავშირელებმა გეგმის შესრულებას 1510 ტონა ლითონი დააკლეს. კრიტიკა განსაკუთრებით უნდა მივმართოთ თბილისის ლენინის, პირველი მაისის, კალინინის, კიროვის, საქარხნო, გლდანის რაიონების, აგრეთვე ბოლნისის, გურჯაანის, ოზურგეთის, სიღნაღის, თერჯოლის, ხობის, დმანისის, ბორჯომის, საგარეჯოს რაიონის კომკავშირულ ორგანიზაციებისაკენ.

მართალია, ნახევარი წლის ჯართის დამზადების გეგმა შესრულდა, მაგრამ წლის მეორე ნახევარი არადამაკმაყოფილებლად დაიწყო. ივლისში სახელმწიფოს უნდა ჩაბარდეს 35502 ტონა ჯართი. ჯერჯერობით კი დამზადებულია მხოლოდ 12 ათასი ტონა, რაც მოწმობს, რომ გეგმა საფრთხეშია.

ერთხელ კიდევ გვინდა შევახსენოთ სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს, სამინისტროებს, უწყებების, საწარმოო გაერთიანებების და სხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, რომ ჯართის დამზადებას განსაკუთრებული კონტროლი ეწევა.

ნუ დავთმობთ წლის პირველ ნახევარში მოპოვებულ პოზიციებს, ყველაფერი ვიღონოთ მეორეული შავი ლითონით მომხმარებლის უთუო და დროული უზრუნველყოფისათვის.

გაზეთ „კომუნისტის“ ეკონომიკის განყოფილება.

მოვლენათა ქრონიკა

სოფლის მშრომელების გარჯით

სიღნაღი. („კომუნისტის“ საკ. კორ.) ამ ბოლო დროს კახეთში ხშირად წვიმს, რამაც საკვებმომპოვებელთა გულს იმედი ჩაუსახა. სოფელ ერისიმედის დავით აღმაშენებლის სახელობის კოლმეურნეობის საკვებმომპოვებლებმა ნაწვერალზე სიმინდი დათესეს, ეგების სასილოსე სიმინდის მწვანე მასა საკმაოდ მიიღონ, რომ პირუტყვი მშიერი არ დარჩეთ.

აქ, რომ იტყვიან, კონვეიერული წესით მუშაობენ, საშემოდგომო თავთავიანების მოსავლის აღებისთანავე ნამჯას წნეხავენ, ნაწვერალს ხნავენ და სასილოსე სიმინდს თესავენ. უკვე მოკილია 130 ჰექტარი და დათესილია სიმინდი სასილოსედ.

— ჩვენი ნაკვეთები სარწყავშია, ამიტომ ნაწვერალზე მწვანე მასას საკმაოდ მივიღებთ და მეზობელ მაღაროს კოლმეურნეობასაც ვასესხებთ სანაწვერალო კულტურებს, — ამბობს ერისიმედელთა თავმჯდომარე ჯემალ ელაშვილი, — ასე რომ, ყოველ ღონეს ვხმარობთ, რაიონის მეცხოველეებს პირუტყვის გამოზამთრება არ გაუჭირდეთ.

• • •

ძველანაგელებს 875 ჰექტარზე ეთესათ თავთავიანები, მაგრამ ხანგრძლივმა გვალვამ ისე დააზიანა ნათესები, რომ 238 ჰექტარი პირუტყვის საკვებად გათიბეს. 170 ჰექტარიდან კი წინათ 35-40 ცენტნერ მარცვალს რომ იღებდნენ, ახლა 15-17 ცენტნერითაც კმაყოფილდებიან.

კომბაინერმა გელა ღვედაშვილმა, გია ჯანიბეგაშვილმა და ნუგზარ ღვედაშვილმა ალაზანზე ქერის მკა მოათავეს და ახლა პურს მკიან. ჯერჯერობით 42 ტონა ხორბალი და 72 ტონა ქერი გალეწეს. ახლა შირაქში გვალვას ცოტათი გადარჩენილ 60 ჰექტარ ყანას მკიან.

• • •

წლეულს რაიონის მეაბრეშუმეები 67 ტონა აბრეშუმის პარკის დასამზადებლად შრომობენ. უკვე დამზადებულია 40 ტონაზე მეტი პარკი. მეწინავეობენ ტიბაანის, მაღაროს, ჯუგაანის ლენინის სახელობის და ვაქირის კოლმეურნეობათა და საქობოს მეურნეობის მეაბრეშუმეები.

▼▼

ფლოტის განახლების ეფექტურობა

ბათუმი. („კომუნისტის“ საკ. კორ.). საქართველოს საზღვაო სანაოსნო ქვეყნის სანაოსნოთა შორის ყველაზე ახალგაზრდაა. ამის მიუხედავად, მუდამ მოწინავეთა რიგებში დგას, შარშანდელი მაჩვენებლებით საკავშირო გარდამავალი წითელი დროშა დაიმსახურა. წარმატებები განაპირობა სამეურნეო ანგარიშზე გადასვლამ და ფლოტის განახლებამ (უკანასკნელ წლებში ჩამოწერეს მოძველებული ხომალდები და 4 ახალი, უფრო ეკონომიკური გემი შეიძინეს).

სიახლეებს შედეგებიც კარგი მოჰყვა. ბოლო სამი წლის განმავლობაში სუფთა სავალუტო მოგებამ 103,8 პროცენტი შეადგინა, ფასიანი მომსახურების გეგმა 108,5 პროცენტით შესრულდა. გემების დამუშავების ხელშეკრულებათა შესრულების შედეგად წახალისების ფონდში დამატებით 300 ათასი მანეთი ჩაირიცხა. სამი წლის მანძილზე მოგების გეგმა 28,5 მილიონი მანეთის გადამეტებით შესრულდა.

ისიც აღსანიშნავია, რომ სანაოსნო დიდ ეკონომიკურ დახმარებას უწევს საბაზო ქალაქს.

აფხაზეთის ამბების გამო

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო იუწყება

სტაბილიზაციის პროცესი, რომელიც ამ ბოლო დღეებში დაისახა აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში, აშკარად ხელს არ აძლევს ცალკეულ ექსტრემისტულად განწყობილ პირებს, რომლებიც ყოველნაირად ცდილობენ გაართულონ ვითარება, გამოიწვიონ ახალი შეტაკებანი. ყოველგვარი ხმებისა და ჭორების გავრცელებით, კანონსაწინააღმდეგო მოქმედებით ისინი მოსახლეობაში ქმნიან დაძაბულობას და იწვევენ შიშს, უნდობლობას ღონისძიებებისადმი, რომლებსაც პარტიული, საბჭოთა და სამართალდამცავი ორგანოები ახორციელებენ მხარეთა შესარიგებლად და კომპრომისის გამოსაძებნად.

სოხუმის ქუჩებში კვლავ გაისმა აფეთქებათა ხმები. მაგალითად, 25 ივლისს 3 საათსა და 35 წუთზე დაუდგენელმა პირმა ასაფეთქებელი მოწყობილობა შეაგდო, პატრონის შინ არყოფნის დროს, აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის დ. დოლბაძის ეზოში. აფეთქების შედეგად ჩაიმსხვრა ფანჯრის მინები. მიმდინარეობს საქმის გამოძიება და დამნაშავეთა ძებნა.

იმავე ღამეს დაუდგენელმა დამნაშავემ ასაფეთქებელი მოწყობილობა შეაგდო „აფხაზეთკურორტსაბჭოს" სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს გარაჟის ეზოში, რის შედეგადაც დაზიანდა ავტომანქანა კამაზი, რომელიც ეზოში იდგა. მიმდინარეობს გამოძიება და ძებნა.

25 ივლისს შემოვიდა გაგრის საზოგადოებრივი კვების ტრესტის მუშაკის ვ. მარკოზიას, კოოპერატივების თავმჯდომარეების გ. შევარდნაძისა და ს. ოპანესიანის განცხადება იმის შესახებ, რომ 24 ივლისს მთვრალმა გიცბამ და ჩუკბარმა ძალადობის მუქარით მოსთხოვეს დაეკეტათ აღნიშნული ობიექტები. ისინივე ანგარიშის გასწორებით ემუქრებოდნენ მოქალაქე ა. გაგუას. მიმდინარეობს გამოძიება.

24 ივლისს გაგრის რაიონის სოფელ ბზიფში, ხორცის კომბინატის მახლობლად რ. პაპბამ და ს. ხაგუშმა იარაღისა და ფიზიკური ანგარიშის გასწორების მუქარით ფული გამოსძალეს ხორცის კომბინატის დირექტორს ა. მახარაძეს. მიმდინარეობს გამოძიება და ძებნა.

სამართალდამცავი ორგანოები განაგრძობენ მუშაობას ქალაქ სოხუმში ადრე ჩადენილ დანაშაულობათა გახსნისათვის. დაკავებული არიან ა. ბებია, რომელმაც ცეცხლსასროლი იარაღი დაუშინა კინოთეატრ „აფსნისთან" შეკრებილ მოქალაქეებს, და მოქალაქე პ, რომელსაც ეჭვით სოხუმის № 1 სკოლაში ჩადენილი ვ. ვეკუას მკვლელობა ბრალდება.

25 ივლისისათვის აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში მომხდარი ამბების დროს ჩადენილ დანაშაულობათა გამო შინაგან საქმეთა საგამოძიებო ორგანოებმა აღძრეს 48 სისხლის სამართლის საქმე, ხოლო პროკურატურის ორგანოებმა — 18 საქმე. სულ კი რესპუბლიკაში ამა წლის 16 ივლისიდან მძარცველობის, ბანდიტური თავდასხმების, ხულიგნური მოქმედების, მკვლელობების, თავდასხმების, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ ტარების ფაქტების გამო აღძრულია 175 სისხლის სამართლის საქმე, რომელთა გამო დაკავებულია 52 კაცი.

დღე-ღამის განმავლობაში აფხაზეთში ჩამორთმეულია 128 ერთეული ცეცხლსასროლი იარაღი, მათ შორის ტყვიამფრქვევი, 4 ავტომატი, 18 შაშხანა, 50 კილოგრამი ასაფეთქებელი ნივთიერება. ქცევის რეჟიმის დარღვევისათვის დაკავებულია 70 კაცი.

დასავლეთ საქართველოს რაიონებში აფხაზეთის ამბებთან დაკავშირებით ახალი დანაშაულობანი არ აღრიცხულა.

მთლიანად ოპერატიული ვითარება რესპუბლიკაში სტაბილურია. დღე-ღამის განმავლობაში აღირიცხა 12 დანაშაული, რომელთაგან ცხრა გახსნილია „ცხელ კვალზე". ამ ხნის მანძილზე მოხდა სახელმწიფო და პირადი ქონების 8 ქურდობა და ძარცვა-ყაჩაღობა, 7 საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა, რომელთაგან ერთი დამთავრდა სიკვდილით, ორი კაცი მძიმედ დაშავდა.

ხორციელდება გაქცეული ძიებაში მყოფი პირების დადგენისა და ქალაქ ზუგდიდის იზოლატორში დაბრუნების ღონისძიებანი. 26 ივლისისათვის დაბრუნებულია 90 კაცი 180-დან.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესჯგუფი.

ცხოვრება კალაპოტში დგება

სოხუმი. 26 ივლისი. დღეს აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა უმაღლესი და ადგილობრივი საბჭოების სახალხო დეპუტატებს მოუწოდა განსაკუთრებული ძალისხმევა გამოიჩინონ ვითარების მოსაწესრიგებლად.

საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტში გაიმართა ავტონომიური რესპუბლიკის საქალაქო და რაიონული გაზეთების რედაქტორებისა და პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნების თათბირი. პარტიულ და პრესის მუშაკებს მიეცათ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების სტაბილიზების კონკრეტული რეკომენდაციები.

სოხუმის ქუჩებში ხალხმა იმატა. გამოიდარა და ქალაქის პირქუში იერი ამანაც შეცვალა. უკვე მუშაობს თითქმის ყველა მაღაზია, სასადილო თუ, საყოფაცხოვრებო მომსახურების დაწესებულება. სანაპიროზე დილიდანვე იყრიან თავს სურნელოვანი შავი ყავის მოყვარულნი. მოქალაქენი უკვე გაბედულად გროვდებიან სამასლაათოდ.

მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, თითქოს ყველაფერი უკან დარჩენილიყოს. ქალაქში კიდევ ბევრი რამ არის შემაშფოთებელი და საგანგაშო, რაც ხან აქ, ხან იქ იჩენს ხოლმე თავს.

25 ივლისს, გამთენიისას, თვითნაკეთი ბომბი შეაგდეს ყაზბეგის ქუჩაზე მცხოვრებ დავით დოლბაძის ეზოში. ბედად, შიგ არავინ იყო. ძლიერმა აფეთქებამ ჩაამსხვრია სახლის ორივე სართულის მინები და ეზოში მოზრდილი „ძაბრიც" დატოვა. იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი დ. დოლბაძე თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის სამართალმცოდნეობის კათედრის გამგის მოვალეობის შემსრულებელია. სხვათა შორის, გაზეთ „სახალხო განათლების" 31 მაისის ნომერში გამოქვეყნებული იმ გახმაურებული წერილის ერთ-ერთი თანაავტორია, სადაც აფხაზეთში არსებულ დასაგმობ საკადრო პოლიტიკაზეა ლაპარაკი. იმავე გაზეთის 23 ივლისის რუსულ დუბლში (მანამდე კი, რა თქმა უნდა ქართულშიც) დაიბეჭდა დ. დოლბაძის კიდევ ერთი სტატია, რომელიც პასუხს აძლევს მაისის წერილის თაობაზე „სოვეტსკაია აბხაზიაში" გამოქვეყნებულ წერილს „მრუდე სარკეში". მოვლენათა ასეთი დამთხვევა შემთხვევით არ ხდება. ბუნებრივია, უნდა ვივარაუდოთ, რომ მამხილებელ ავტორზე შური იძიეს.

აფეთქება მოეწყო წითელარმიელთა ქუჩაზე მდებარე გარაჟშიც. დაკავებულია 15-16 ივლისის ამბების დროს ჩადენილ ბოროტმოქმედებაში ეჭვმიტანილი კიდევ 2 მოქალაქე. დღეისათვის უკვე აღძრულია 61 სისხლის სამართლის საქმე. გრძელდება მოსახლეობისათვის იარაღის ჩამორთმევა და ნებაყოფლობით ჩაბარება.

„კომუნისტის" კორ.

წერილი „კომუნისტს"

„**დღეს** განსაკუთრებით საჭიროა აწონილი სიტყვა და საქმე! მაგრამ, სამწუხაროდ, ყველას როდი აქვს ეს ღრმად შეგნებული",—ასეა ნათქვამი გაზეთ „კომუნისტის" კორესპონდენტების წერილში „კომენდანტის საათი არ იქნება! ამოქმედდა სახალხო დიპლომატია", რომელიც გამოქვეყნდა ამ გაზეთის 1989 წლის 23 ივლისის ნომერში. მე დავუმატებდი, რომ ეს ჭეშმარიტება არც ამ წერილის ავტორებს აქვთ ბოლომდე შეგნებული. ასეთი დასკვნის გაკეთების უფლებას ის მაძლევს, რომ ისინი ნებსით თუ უნებლიეთ, ალბათ მაინც უნებლიეთ, ჭორს ავრცელებენ, თანაც იმავე წერილში, სადაც სხვებს სიტყვის აწონ-დაწონვისაკენ მოუწოდებენ.

„დღეს ბევრი წერისა და ლაპარაკის დრო არ არის, ამიტომ მოკლედ ვიტყვი, რომ მათ მიერ გამოგონილი ან ქუჩაში ყურმოკრული ამბავი „სოხუმში გამართული ერთი ყოვლად უჩვეულო მიტინგის... „კანონიერი ქურდების" ყრილობის შესახებ, რომელიც აფხაზთა და ქართველთა შორის მშვიდობის დამყარების კეთილშობილურ მიზანს ისახავდა, სინამდვილეს არ შეეფერება. შეცდომა ის კი არაა, რომ სოხუმში და მთელს აფხაზეთში მშვიდობის დასამყარებლად სახალხო დიპლომატია ამოქმედდა, არამედ ის, რომ თითქოს ეს კეთილშობილური საქმე სწორედ აფხაზეთისა და მთელი დასავლეთ საქართველოს „კანონიერი ქურდების" დელეგატების ათასკაციანმა ყრილობამ ითავა.

ნუ მიწყენენ „კანონიერი ქურდები", განსაკუთრებით ისეთები, ვისაც აფხაზეთში ძმათა შორის სისხლისღვრა აწუხებს და ცდილობს მშვიდობის დამყარებაში თავისი წვლილი შეიტანოს (დღეს ამ საქმეში აქტიურობა არავის არ ეძრახვის), მაგრამ ნუ თუ ამ წერილის ავტორებს მართლაც ჰგონიათ, რომ აფხაზეთში მცხოვრებ ქართველთა და აფხაზთა შორის ისე გაწყდა სახელოვანი ვაჟკაცები, ავტორიტეტული ადამიანები, ვის სიტყვასაც ხალხი დაიჯერებს, რომ „კანონიერი ქურდების" ანაბრად ვართ დარჩენილები.

სინამდვილეში საქმე ასეა: 21 ივლისს ქალაქ სოხუმში მართლაც შეიკრიბნენ აფხაზების, ქართველების, მათ შორის სვანების რჩეული ვაჟკაცები, რომელთაც თავიანთი ხალხის რწმუნებითა და სახელით იტვირთეს მთელს აფხაზეთში ძმათა შორის სისხლისღვრის შეწყვეტას ჩასდგომოდნენ სათავეში და უკვე გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწიეს. სხვათა შორის, 21 ივლისს ისინი პირველად კი არა, არამედ მეორედ შეხვდნენ ერთმანეთს, ხოლო მესამე შეხვედრა 23 ივლისს გაიმართა უკვე საზოგადოება „ლემ"-ის შტაბში. ორ უკანასკნელ შეხვედრას მე პირადად ვესწრებოდი და ვადასტურებ, რომ იქ მართლაც ურთიერთპატივისცემისა და საქმის დაუყოვნებლივ გაკეთების სულისკვეთება სუფევდა. ამ ორივე შეხვედრას მკაცრად წარმომადგენლობითი ხასიათი ჰქონდა, ამიტომ მოლაპარაკებაში არა 1000, არამედ სულ 3-4 ათეული, თავისი ხალხის მიერ უფლებებით აღჭურვილი ვაჟკაცი მონაწილეობდა. რაც შეეხება დანარჩენებს, ისინი მოედანზე იყვნენ შეკრებილნი და თავიანთ წარმომადგენელთა გადაწყვეტილებას ელოდნენ. მათ შეიძლება „კანონიერი ქურდებიც" ერივნენ, რომლებიც აგრეთვე მზად იყვნენ სასიკეთო საქმის ხელშეწყობისათვის. მე არც იმას გამოვრიცხავ, რომ რომელიმე დელეგაციას ერია ისეთი ადამიანი, ვისაც ადრე მართლმსაჯულებასთან ჰქონდა საქმე, მაგრამ ამაში საძრახისს ვერაფერს ვხედავ...

ყოველ შემთხვევაში, დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ ქართველთა დელეგაციაში შემავალ საზოგადოება „ლემ"-ის თავკაცებს არცერთი „კანონიერი" თუ „უკანონო" ქურდი არ ერია. უფრო მეტიც, ყველა მათგანი არა მარტო საზოგადოება „ლემ"-ის, არამედ მთელი საქართველოს საუკეთესო და ერთგული შვილია. თითოეულ მათგანს არა მარტო ძმობა აფხაზებთან, არამედ ნებისმიერი სხვა ერის შვილებთან სიტყვის პატრონის და სამართლიანი კაცის პირი აქვს.

მე დღეს მეტს არ გავაგრძელებ იმ სახალხო დიპლომატიაზე ლაპარაკს, რომელიც უკვე ამოქმედდა და რომელსაც იმედის თვალით ვუყურებ. არც საზოგადოება „ლემ"-ის შესახებ არ გავაგრძელებ სიტყვას. სახალხო მოძრაობას, რომელიც დაზავებასა და აფხაზეთში ერთა შორის ურთიერთობათა საქმეში ბოლომდე ჩახედვას, მის მოგვარებას ისახავს მიზნად, მომავალში, ალბათ, სათანადო გამომზეურება და საჯარო დაფასება სჭირდება. ახლა კი მთავარია ჩვენი დაუფიქრებლობით, „სიტყვისა და საქმის" აუწონლობით მას ხელი არ შევუშალოთ და დათვური სამსახური არ გავუწიოთ. ნუ დაგვავიწყდება, რომ ყველაფერი, რაც დღეს დაუფიქრებლად ქართულ და არაქართულ პრესაში იწერება და ტრიბუნიდან ითქმება, აფხაზეთში იძლევა გამოძახილს...

რაც შეეხება აფხაზთა წარმომადგენლებს ამ ჭეშმარიტად სახალხო ფორუმზე, მათ ჩემი თანამემამულეების დაუფიქრებლობის გამო პირადად მე ვუხდი საჯაროდ ბოდიშს!

ამით ვამთავრებ ამ ნაჩქარევ წერილს და ვიტოვებ უფლებას საჯაროდ გავცე პასუხი ყველას, ვინც ნებსით თუ უნებლიეთ გაუტეხს სახელს აფხაზეთში შობილ ერთაშორისი ურთიერთობების ნორმალიზაციის ჭეშმარიტად სახალხო მოძრაობას ან ამ მოძრაობაში საზოგადოება „ლემ"-ის ნამდვილ წვლილს...!

ანზორ გაბიანი,
საზოგადოება „ლემ"-ის წევრი.
სოხუმი-თბილისი.

ფოტორეპორტიორის თვალით

ჯავშნიანი ტექნიკა სოხუმის ქუჩებში... უჩვეულო და უსიამოვნო სანახავია ჩვენთვის, რადგან ჩვენ ხომ სხვანაირ სოხუმსა ვართ შეჩვეულნი: მზიანი, მარადმწვანე, ზღვისა და ცის სილურჯით გაჯერებული და შეზავებული, მაგრამ იმ ავბედითი, საბედისწერო ღამის შემდეგ ტალღების ხმაური ჯავშანტრანსპორტიორთა გუგუნმა ჩაახშო. აი, უკვე მერამდენე დღეა სსრ კავშირის შინაგანი ჯარების მუშაკები ნაბიჯ-ნაბიჯ ამოწმებენ, აკონტროლებენ ვითარებას აფხაზეთში, სადაც საბოლოოდ ჯერაც არ ჩამცხრალა ვნებათაღელვა.

• • •

სურათზე: სოხუმის ქუჩებში.

საქინფორმის ფოტო.

თბილისში შექმნილი ვითარების გამო

თბილისის ზოგიერთი საწარმოს და დაწესებულების მუშაკთა ცალკეულმა ჯგუფებმა მთელი რიგი საზოგადოებრივი გაერთიანებების მოწოდებით გაფიცვა გამოაცხადეს და მუშაობა შეწყვიტეს. ისინი მოითხოვენ გამოავლინონ და დასაჯონ აფხაზეთსა და ქვემო ქართლში მომხდარი ტრაგიკული მოვლენების მოთავეები, დაამყარონ წესრიგი ამ რეგიონების საკადრო პოლიტიკაში.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შენობასთან რამდენიმე ახალგაზრდამ სადღეღამისო მჯდომარე გაფიცვა გამოაცხადა.

(საქინფორმი).

საბჭოთა ბიზნესმენების სკოლა

ძირეული ეკონომიკური რეფორმის პირობებში ეფექტიანი კომერციული და სამმართველო საქმიანობისათვის ხელმძღვანელთა და სპეციალისტთა მომზადება — ასეთია თბილისის მენეჯერთა სკოლის ამოცანა. იგი შექმნილია როგორც სამომხმარებლო კოოპერაციის „მოსკოვის" ცენტროსოიუზის „კოოპერაციული ინსტიტუტის" სასწავლო-სამეცნიერო კომპლექსის თბილისის ფილიალის ფაკულტეტი. სკოლის სპონსორები არიან ცეკავშირი, ვაჭრობის, საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების, საგარეო საქმეთა რესპუბლიკური სამინისტროები. მსმენელთა შეგროვება დაიწყება მიმდინარე წლის ოქტომბერში.

საქინფორმის კორესპონდენტი იური გოლდმანი შეხვდა სკოლის დირექტორს სიმონ ქადაგიძეს და სთხოვა ეპასუხა რამდენიმე კითხვაზე.

— ბატონო სიმონ, ცნება „მენეჯერი" შედარებით ამ ცოტა ხნის წინათ შევიდა ჩვენს ლექსიკონში. მოდით, დავაზუსტოთ, ვინ არიან მენეჯერები?

— ეს ინგლისური სიტყვაა, რომელიც გაიგივებულია ხელმძღვანელობის, ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღების უნართან. უნდა ითქვას, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ბიზნესის პირველი სკოლა ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში გაიხსნა. მას შემდეგ სხვადასხვა ქვეყანაში შექმნილია ყოველგვარი რანგის ხელმძღვანელთა მოსამზადებელი სასწავლო ცენტრების ფართო ქსელი. ბოლოს და ბოლოს, ჩვენთანაც შეიგნეს ამგვარი სკოლების აუცილებლობა.

— რას ეფუძნება მენეჯერთა მომზადების სისტემა?

— ჯერ ერთი, იგი ხელმძღვანელობს იმით, რომ მენეჯერი — ეს არის პროფესია ყველა მისი ატრიბუტით — კვალიფიკაციის დონე, ცოდნა, ოსტატობა, შესასრულებელი ფუნქციების წრე და ა. შ. მეორე, ამ პროფესიის კანდიდატებს უნდა ჰქონდეთ გარკვეული მიდრეკილებანი. მაგალითად, ადამიანებთან მუშაობის, კოლექტივში ნორმალური ფსიქოლოგიური კლიმატის უზრუნველყოფის, კონფლიქტური სიტუაციების დაძლევის, გადაწყვეტილებების ოპერატიული მიღების, მრავალფეროვანი ინფორმაციის ათვისების, დროის რაციონალური გამოყენების უნარი.

და ბოლოს, ჩვენ არ ვცდილობთ მომავალ ხელმძღვანელებს შევასწავლოთ ყველა საგანი, არამედ ვესწრაფვით გავუღვიძოთ ინტერესი ამ საქმიანობისადმი, განვუვითაროთ დამოუკიდებლობა — ცოდნის შეძენაში, გადაწყვეტილებათა მიღებაში და ა. შ. საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის, სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადასვლისათვის აღებული კურსის გათვალისწინებით რესპუბლიკას სჭირდება სოციალისტური ფხიანობის მქონე ადამიანები.

— როგორია თბილისის მენეჯერთა სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურა?

— იგი შედგება ორი განყოფილებისაგან — შინაეკონომიკური და საგარეო-ეკონომიკური საქმიანობისათვის მენეჯერთა მომზადების განყოფილებები.

— თუ შეიძლება, გაგვაცანით მიღების პირობები.

— შინაეკონომიკური საქმიანობის განყოფილებაზე მიიღებიან ორმოც წლამდე ასაკის პირნი, რომლებსაც აქვთ უმაღლესი განათლება და სულ ცოტა ხუთი წლის მუშაობის სტაჟი. სწავლა აქ გრძელდება ათ თვეს წარმოებას მოუწყვეტლივ.

ის, ვინც აპირებს დაოსტატდეს საგარეო ეკონომიკის დარგში, უნდა იყოს 35 წელზე მეტი ხნის, ხოლო მუშაობის სტაჟი უნდა ჰქონდეს სულ ცოტა ხუთი წელიწადი. მათ უნდა გაიარონ გასაუბრება. ამ განყოფილებაზე სწავლების ხანგრძლივობაა ხუთი თვე წარმოებას ნაწილობრივ მოწყვეტით. სხვათა შორის, კონტინგენტის შეგროვებისას უპირატესობა ენიჭებათ სპონსორი ორგანიზაციების მუშაკებს.

— სკოლა სამეურნეო ანგარიშისა და თვითანაზღაურების პირობებით ფუნქციონირებს. მაშასადამე, სწავლება ფასიანია?

— დიახ. შინაეკონომიკური საქმიანობის განყოფილებაზე სწავლება ოთხი ათასი მანეთი ღირს, ხოლო საგარეო-ეკონომიკურზე — 3,5 ათასი მანეთი. მას იხდიან ორგანიზაციები, რომლებიც სასწავლებლად გზავნიან თავიანთ თანამშრომლებს, ანდა თვითონ მსმენელები.

— როგორია, თქვენი აზრით, საბჭოთა მენეჯერის თავისებურება?

— ალბათ, მთავარია სამმართველო საქმიანობის სოციალური ორიენტაცია, მისი გამიზნულობა იმისათვის, რომ ყველა პირობა შექმნას მუშაკთა პიროვნების გამოვლენასა და განვითარებას, მომწიფებული სოციალური პრობლემების გადაჭრას. თითოეული ხელმძღვანელის მოვალეობაა უზრუნველყოს მუშაკთა სოციალური დაცულობა ბიუროკრატების, გულგრილი ჩინოვნიკების მხრივ წარმოების ბატონ-პატრონთა მდგომარეობის ხელყოფისაგან.

ძია ლიანი: თქვენი საზოგადოება დიდ ნაბიჯებს დგამს

ჩინეთის საზღვარგარეთ მეცნიერული სოციალიზმის კვლევის ასოციაციის გენერალური მდივანი, პროფესორი ძია ლიანი საქართველოში ყოფნის დროს თბილისის დამოუკიდებელ ინტელექტუალთა კლუბში მიიწვიეს. „ეს ფრიად საინტერესო იყო, — თქვა სტუმარმა, რომელმაც აქ რამდენიმე საათს დაჰყო. — უდავოა, თქვენი საზოგადოება დიდ ნაბიჯებს დგამს სულიერი განვითარების დარგში".

ქართველ ინტელექტუალთა კლუბი, რომლის დევიზია „აღზრდა მშვიდობისმოყვარეობის სულისკვეთებით", თბილისში შარშან შეიქმნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის მშვიდობისა და განიარაღების პრობლემათა ფილოსოფიურ საბჭოსთან. კლუბის წევრები, რესპუბლიკის სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრის მეცნიერები იკვლევენ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების, ეროვნებათშორისი ურთიერთობის და ფილოსოფიის საკითხებს მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების მეცნიერული ანალიზისა და პროგნოზირებისათვის. არის ინდივიდუალური სამეცნიერო და სოციალური პროგრამები, კლუბთან წარმატებით თანამშრომლობენ საზღვარგარეთელი კოლეგებიც.

— ჩვენი ამოცანაა საზოგადოების ინტელექტუალური სრულყოფა, — თქვა კლუბის თავმჯდომარემ ოთარ წერეთელმა.

— უკანასკნელ ხანს ჩვენი ქვეყნების ურთიერთობაში ბევრი რამ შეიცვალა, — თქვა პროფესორმა ძია ლიანმა, — ფართოვდება თანამშრომლობა ეკონომიკური და სულიერი ცხოვრების სხვადასხვა დარგში. დარწმუნებული ვარ, ეს კონტაქტები ორივე ხალხს არგებს. საბჭოთა კავშირ-ჩინეთის უმაღლესი დონის შეხვედრა ახალ იმპულსს მიანიჭებს ჩვენი ქვეყნების ურთიერთობის განვითარებას, უკანასკნელ ხანს ხომ ჩინეთშიც, სსრ კავშირშიც მსგავსი პროცესები მიმდინარეობს.

კოლეგებთან შეხვედრის შემდეგ ქართველ ფილოსოფოსთა სტუმარმა, ყაზანის უნივერსიტეტის ყოფილმა სტუდენტმა განაცხადა, რომ ორივე ქვეყნის მეცნიერები ჯეროვნად არ იყენებენ ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის პოტენციალს. უნდა ვიფიქროთ დიდი ცვლილებების ეპოქაში მეცნიერული სოციალიზმის პრობლემათა შესწავლის ერთობლივი პროგრამის შემუშავებაზე, რომელსაც კლუბსა და ფილოსოფიურ საბჭოში დასაბამი უკვე მიეცა.

— საქართველოში ჩემთვის ბევრი რამ აღმოვაჩინე, — თქვა შემდეგ სტუმარმა, — ჩემი კვლევის თემაა სტალინიზმი და მისი შედეგები სსრ კავშირისათვის, და ჩემთვის ფრიად მნიშვნელოვანია ის, რომ ვეწვიე ამ პოლიტიკური მოღვაწის სამშობლოს.

(საქინფორმი).

უცხოეთში

საკდესი იუწყება
26 ივლისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღირსეული წვლილისათვის

მ. ს. გორბაჩოვს მიეკუთვნა იტალიის კულტურული ასოციაციის ოქროს მედალი

რომი. სსრ კავშირის მილანის გენერალურ საკონსულოში გაიმართა ცერემონია იმასთან დაკავშირებით, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს მ. ს. გორბაჩოვს მიეკუთვნა იტალიის გერმანული კულტურის ინსტიტუტის 1988 წლის ოქროს მედალი.

1981 წლიდან ეს მსხვილი და პრესტიჟული კულტურული ასოციაცია ამ ჯილდოს აკუთვნებს „გამოჩენილ პოლიტიკურ და სახელმწიფო მოღვაწეებს", რომლებმაც წვლილი დასდეს „მსოფლიო კულტურის განვითარებისათვის" ხალხებს შორის მშვიდობის განმტკიცებას. ბოლო ხუთ წელიწადში პრემია არ მიუკუთვნებიათ, ვინაიდან, ინსტიტუტის ხელმძღვანელთა აზრით, „ვერ მონახეს ამ ჯილდოს ღირსი ადამიანი".

საზეიმო ვითარებაში ჯილდოს დამწესებლებმა იგი გადასცეს გენერალური საკონსულოს წარმომადგენლებს. ცერემონიაზე გამოსვლისას ინსტიტუტის პრეზიდენტმა რენატო პერტეგელამ აღნიშნა მ. ს. გორბაჩოვის ღირსეული წვლილი საყოველთაო უშიშროებისა და მშვიდობის განმტკიცებაში.

● აშშ

მეტოქეობა კონგრესში

ვაშინგტონი. ამერიკის კონგრესის წარმომადგენელთა პალატამ მხარი დაუჭირა „ვარსკვლავეთის ომების" პროგრამისათვის ბუშის ადმინისტრაციის მიერ მოთხოვნილი ასიგნებების ორ მილიარდამდე დოლარით შემცირებას.

კონგრესმენებმა, რომლებიც განაგრძობენ კამათს პენტაგონის 1990 საფინანსო წლის ბიუჯეტის განხილვას, 248 ხმით 175-ის წინააღმდეგ მიიღეს შესწორება, რომელიც სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის ასიგნებებს კვეცავს 700 მილიონი დოლარით. წინათ წარმომადგენელთა პალატის შეიარაღებული ძალების საქმეთა კომიტეტმა მხარი დაუჭირა ამ მიზნებისათვის ასიგნებათა 1,1 მილიარდი დოლარით შემცირებას. რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ფართო მასშტაბის სისტემის პროგრამისათვის თეთრი სახლი ითხოვდა 4.9 მილიარდს. მაგრამ ბევრი კანონმდებლის აზრით, ქვეყანაში არის საკმაოდ ბევრი სერიოზული პრობლემა, რომელთა გადასაწყვეტად საჭიროა დაუყოვნებლივ გამოიყოს სოლიდური თანხები.

„თუ ჩვენ ვაფასებთ ამერიკის უშიშროებას, „ვარსკვლავეთის ომები" უნდა აიკრძალოს", თქვა კამათის დროს კონგრესმენმა ლეს ოკოინმა.

მწვავე მეტოქეობის პირობებში, რომელიც მიმდინარეობს კონგრესში სამხედრო ბიუჯეტის ცალკეული პროგრამების გამო, ადმინისტრაცია აძლიერებს ზემოქმედებას კანონმდებლებზე, რათა ხელუხლებლად დატოვოს მის მიერ პენტაგონისათვის მოთხოვნილი ასიგნებანი.

● პოლონეთი

მთავრობის შესაქმნელად

ვარშავა. მთავრობის შექმნის მიზნით კონსულტაციების ფარგლებში პოლონეთის პრეზიდენტმა ვ. იარუზელსკიმ მიიღო სამოქალაქო კომიტეტის „სოლიდარობის" თავმჯდომარე ლ. ვალენსა.

ვ. იარუზელსკიმ წარმოადგინა წინადადება „დიდი კოალიციური" მთავრობის შექმნის თაობაზე, რომელიც ითვალისწინებს მის შემადგენლობაში ოპოზიციის წარმომადგენლების ფართო მონაწილეობას, მათ შორის მთავრობის მეთაურის პირველი მოადგილის პოსტის დაკავებას.

ლ. ვალენსამ წამოაყენა ან მთლიანად ოპოზიციის ან კოალიციის მიერ მთავრობის შექმნის ალტერნატიული ფორმულა. კოალიციური მთავრობის შემადგენლობაში, მისი აზრით, შეიძლება შევიდნენ პირნი, რომლებიც დაკავშირებული არიან ოპოზიციასთან, მაგრამ მთავრობაში არ წარმოადგენენ ოპოზიციურ მხარეს.

პრეზიდენტმა მიიღო აგრეთვე სრულიად პოლონეთის პროფკავშირთა შეთანხმების თავმჯდომარე ა. მედოვიჩი, საერო კათოლიკოსთა საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე ზ. კომენდერი, სრულიად პოლონეთის მიწათმოქმედთა, სასოფლო-სამეურნეო წრეებისა და ორგანიზაციების კავშირის მთავარი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ი. მაქსიმიუკი და ერთპიროვნულ გლეხთა „სოლიდარობის" თავმჯდომარე ს. სლიში.

კერძოდ, აღინიშნა სოფლის მეურნეობისა და მოსახლეობის პროდუქტებით უზრუნველყოფის პრობლემათა პრიორიტეტული მნიშვნელობა.

კონტაქტები

მეზღვაურთა სტუმართმოყვარეობით

ნორფოლკი (ვირჯინიის შტატი). გაცილების საზეიმო ცერემონიით დასრულდა ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩრდილოეთის ფლოტის სარდლის პირველი მოადგილის ვიცე-ადმირალ ი. ვ. კასატონოვის ალმით საბჭოთა სამხედრო ხომალდების რაზმის ოფიციალური ვიზიტი.

ვიზიტის დროს საბჭოთა მეზღვაურები შეხვდნენ ამერიკის მთელ რიგ ოფიციალურ წარმომადგენლებს. საბჭოთა ხომალდების რაზმის სარდლობა საფლაგმანო ხომალდზე „მაუნტ უიტნიზე" მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალების მე-2 ატლანტიკური ფლოტის სარდალმა ვიცე-ადმირალმა ჯ. ჯონსონმა. ეს ვიზიტი არის ჩვენი ქვეყნების ურთიერთობაში გულახდილობის პრინციპის პრაქტიკული განხორციელება, აღნიშნა მან საკდესის კორესპონდენტთან საუბარში.

ნორფოლკში გაიმართა პრესკონფერენცია, რომლის დროსაც სსრ კავშირის ელჩმა ამერიკის შეერთებულ შტატებში ი. ვ. დუბინინმა და ვიცე-ადმირალმა ი. ვ. კასატონოვმა მადლობა გადაიხადეს გულთბილი მასპინძლობისათვის, რომელიც გაუწიეს საბჭოთა მეზღვაურებს, უპასუხეს ჟურნალისტთა შეკითხვებს.

ტრადიციული მეზღვაურული სტუმართმოყვარეობით მასპინძლობდნენ თავიანთ ხომალდებზე საბჭოთა მეზღვაურები ნორფოლკის მცხოვრებლებსა და სტუმრებს. გაზეთი „ვაშინგტონ ტაიმსი" აღნიშნავდა, რომ საბჭოთა ხომალდების დათვალიერების მსურველი იმდენი იყო, რომ ამერიკელი ტურისტები იძულებული იყვნენ ხუთ საათსა და უფრო მეტხანს მდგარიყვნენ პირსის ჭიშკართან რიგში მცხუნვარე მზის ქვეშ. გაიმართა აგრეთვე საბჭოთა მეზღვაურების შეხვედრები ამერიკის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან, ჩრდილოეთის ფლოტის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლისა და სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სანიმუშო ორკესტრის კონცერტები ქალაქის მცხოვრებლებისათვის.

ტელეტაიპის ლენტიდან

◆ **ნიუ-იორკი.** თერთმეტი დღით ადრე, სანამ დაბადების 118 წელი შეუსრულდებოდა, ფლორიდის ხანდაზმულთა ერთ-ერთ სახლში გარდაიცვალა ამერიკელი ქალი ბერდი მეი ვოგტი, რომელიც გინესის რეკორდების 1989 წლის წიგნში ფიგურირებდა როგორც „დედამიწაზე მცხოვრებ ადამიანთაგან უხუცესი".

ბერდი ვოგტი დაიბადა 1876 წლის 3 აგვისტოს ოჰაიოს შტატის ქალაქ აკრონში, სადაც თავისი სიცოცხლის უმეტესი ნაწილი გაატარა.

◆ **ლუანდა.** 42 კაცი დაიღუპა, 6 მძიმედ დაიჭრა უნიტას დაჯგუფების მიერ ჩადენილი მორიგი ტერორისტული აქციის შედეგად. როგორც სამშაბათს ანგოლის საინფორმაციო სააგენტო—ანგოპი იუწყებოდა, უნიტას ელემენტებმა „დედამიწა-ჰაერის" რაკეტით ჩამოაგდეს ან-26 სამოქალაქო თვითმფრინავი, რომელიც ანგოლის ავიაკომპანიას ეკუთვნოდა. თვითმფრინავი ასრულებდა რეისს ლუენა-კაზომბოს (მოშიკოს პროვინცია) მარშრუტით.

ფოტოფაქტი



⊙ **დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი მარგარეტ ტეტჩერი არ ერიდება ზედმეტად თავის გამოჩენას ხალხთან, ასევე იყო ნიუპორტის სასოფლო-სამეურნეო კოლეჯის დათვალიერებისას... ამაში ხომ არ არის აგერ უკვე ათი წლის განმავლობაში მთავრობის სათავეში მყოფი ტეტჩერის პოპულარობის საიდუმლოება, რისთვისაც ქვეყნის არც თუ ისე ბევრ პოლიტიკურ მოღვაწეს მიუღწევია?**

აპ-საკდესის ფოტო.

ეკოლოგია

რას მოწმობს გამოკითხვა

ნიუ-იორკი. დედამიწის მოსახლეობის უმრავლესობა შეშფოთებულია გარემოს ახლანდელი მდგომარეობითა და პესიმიზმით აფასებს უკეთესობისაკენ ძვრის პერსპექტივებს. ეს ცხადყო 14 ქვეყანაში მოსახლეობის გამოკითხვამ, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გარემოს პროგრამის შეკვეთით განახორციელა „ლუის ჰარის ენდ ასოშიეიტსის" კვლევითმა ფირმამ. გამოკითხვის შედეგები გამოქვეყნებულია „ლიველოპმენტ ფორუმის" ბიულეტენში, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გამოიცემა.

უკმაყოფილება გარემოს მდგომარეობის გამო გამოთქვეს 14 ქვეყნიდან 13 ქვეყნის — არგენტინის, ჩინეთის, უნგრეთის, ინდოეთის, იამაიკის, იაპონიის, კენიის, მექსიკის, ნიგერიის, ნორვეგიის, სენეგალის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და ზიმბაბვეს მოსახლეობამაც და ხელმძღვანელობამაც. მხოლოდ საუდის არაბეთის მცხოვრებლებს მიაჩნიათ, რომ მათთან ურიგოდ არ დგას საქმე ამ დარგში.

ყველა ქვეყანაში გამოკითხულთა მნიშვნელოვანი უმრავლესობა — 75 პროცენტიდან 100 პროცენტამდე — დარწმუნებულია, რომ საჭიროა „თავიანთი მთავრობებისა და ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციების უფრო გაბედული მოქმედება, როგორიც არის გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, აგრეთვე უფრო მკაცრი საკანონმდებლო ღონისძიებანი მრეწველობის მიერ გარემოს გაჭუჭყიანების თავიდან აცილებისათვის", წერს „ლიველოპმენტ ფორუმი". როგორც ისინი თვლიან, მხოლოდ მაშინ შეიძლება უკუვაქციოთ არახელსაყრელი ტენდენცია, როცა გარემოს დაცვის საქმეს მიენიჭება პრიორიტეტი როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე.

მედიცინა

შემაშფოთებელი პროგნოზი

ვაშინგტონი. ამერიკის შეერთებული შტატების დაავადებათა კონტროლის ცენტრმა აღნიშნა სავალალო რეკორდი: მის კომპიუტერში შემოვიდა მონაცემები მეასიათასე ამერიკელის შესახებ, რომელსაც შიდსის ვირუსი აღმოაჩნდა. ეს ცნობები ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს დაუდასტურა ცენტრის წარმომადგენელმა ჩარლზ ფოლისმა.

შიდსით დაავადების ოფიციალურად დაზუსტებული შემთხვევების გარდა, ცენტრის სპეციალისტების აზრით, რომლებიც მთავრობის ორგანიზაციაა და შტაბ-ბინა ატლანტაში აქვს, კიდევ მილიონიდან 1,5 მილიონამდე ამერიკელი ვირუსის მატარებელია. მაგრამ ავადმყოფობა გარეგნულად ჯერჯერობით არ არის გამოვლენილი. უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში, განაცხადა ფოლისმა, ამ ადამიანების 50-60 პროცენტს ამა თუ იმ ფორმით გამოუვლინდება შიდსის სიმპტომები. ეს მონაცემები ადასტურებს ჯერ კიდევ ამა წლის შემოდგომაზე ცენტრის ეპიდემიოლოგების მიერ გამოტანილ დასკვნებს, რომ დაავადება განაგრძობს გავრცელებას ამერიკის შეერთებულ შტატებში უახლოეს წლებში. მათი პროგნოზებით, 1992 წლისათვის ამ ჯერჯერობით განუკურნავი სენის ვირუსის მატარებელთა დადგენილი შემთხვევების რაოდენობა 365 ათასს შეადგენს. შიდსის განვითარების შედეგად სამი წლის შემდეგ სიკვდილის შემთხვევების საერთო რიცხვი 263 ათასს მიაღწევს. ეს თითქმის ხუთჯერ აღემატება ვიეტნამის ომში დაღუპულ ამერიკელთა რიცხვს, აღნიშნავს ასოშიეიტედ პრესის სააგენტო.

ფაქტი * მოვლენა * კომენტარი

ისტორიის ფურცლები

გადასინჯვას მოითხოვს

ფართო საზოგადოებრიობისათვის ცნობილი გახდა, რომ საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის ბევრი პრობლემა დოგმატური და ვოლუნტარისტული პოზიციიდან განიხილებოდა, შეინიშნებოდა რთული ისტორიული პროცესების გაუბრალოებისა და გამარტივების მცდელობა. მაგალითად, ჩვენს ისტორიოგრაფიაში საქმე ისე იყო წარმოდგენილი, რომ თითქოსდა საქართველოს განმათავისუფლებელ მოძრაობაში ბოლშევიკებს მხოლოდ ისეთი მოწინააღმდეგე პოლიტიკური პარტიები ჰყავდათ, რომლებიც არავითარი გავლენით არ სარგებლობდნენ სახალხო მოძრაობაში. ამასთან ეს ეგრეთწოდებული „მოწინააღმდეგე კონტრრევოლუციური პარტიები" არ გამხდარან სერიოზული, ჩაღრმავებული შესწავლის საგანი. უმრავლეს შემთხვევაში ასევე ცალმხრივად და არაობიექტურად განიხილებოდა ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის საქართველოში, რომელსაც უკავშირებდნენ ქართველ მშრომელთა აჯანყებას მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ.

დღეისათვის სპეციალისტების მიერ გამოთქმული მოსაზრებანი, რომლებიც ეფუძნებიან დოკუმენტურ მასალებს, ანგარიშგასაწევ არგუმენტებსა და ფაქტებს, იძლევიან საშუალებას საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის (სამწუხაროდ, სიტყვა — დემოკრატიულს ადრე ჩვეულებრივ ბრჭყალებში სვამდნენ ხოლმე) ურთიერთობა ახლებურად გავიაზროთ და 1921 წლის 21 თებერვლის აქცია ობიექტურად შევაფასოთ. მრუდე სარკეში წარმოჩენილი ზემოაღნიშნული ისტორიული ფაქტი არ პასუხობს ქართული ისტორიული მეცნიერების განვითარების თანამედროვე დონეს და ამიტომ საფუძვლიან გადასინჯვას მოითხოვს.

ჩვენს პერიოდულ გამოცემებში უკვე გამოქვეყნდა არაერთი საყურადღებო მასალა, რომლებშიც სათანადო ფაქტების მოხმობით გამოთქმულია შეხედულებანი იმის შესახებ, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება მოხდა წითელი არმიის მიერ განხორციელებული აქციის შედეგად. მკვლევართა მიერ გამოთქმული ეს მოსაზრება მისაღებად მიგვაჩნია.

მიმდინარე წლის 10 ივნისს გაზეთ „კომუნისტში" გამოქვეყნებული ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ლევან თოიძის ფრიად საყურადღებო პუბლიკაციიდან ცნობილი გახდა ჩვენში საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრებისათვის ბრძოლის საკითხებისადმი მაშინდელი თვალსაჩინო პარტიული მოღვაწეების მიდგომა. აქედან ნათელია, რომ 1921 წლის თებერვალში არავითარი აჯანყება არ მომხდარა და რომ საბჭოთა ხელისუფლება საქართველოში მხოლოდ წითელი არმიის ძალებით დამყარდა.

სადღეისო ამოცანაა იმის გარკვევა, თუ როგორი კვალიფიკაცია უნდა მიეცეს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ფაქტს. ჩვენი აზრით, ეს უნდა შევაფასოთ როგორც ანექსია — სახელმწიფოს მიერ სხვა სახელმწიფოს კუთვნილი ტერიტორიის სამართალსაწინააღმდეგო შეერთება (დაპყრობა, წართმევა), ამ შემთხვევაში საქართველოს სუვერენული სახელმწიფოს დაპყრობა საბჭოთა რუსეთის წითელი არმიის მხრივ.

ლენინური დეკრეტი ზავის შესახებ ანექსიას ხსნის შემდეგნაირად: „ანექსია ანუ სხვისი მიწაწყლის დაპყრობა მთავრობას ესმის საერთოდ დემოკრატიის და განსაკუთრებით მშრომელი კლასების უფლებრივი შეგნების თანახმად როგორც მცირე ან სუსტი ეროვნების ყოველი შეერთება დიდი ან ძლიერი სახელმწიფოსადმი ამ ეროვნების ზუსტად, ნათლად და ნებაყოფლობით გამოთქმული თანხმობისა და სურვილის გარეშე, დამოუკიდებლად იმისა, თუ როდის მოხდა ეს ძალდატანებითი შეერთება, აგრეთვე იმის დამოუკიდებლად, თუ რამდენად განვითარებული თუ ჩამორჩენილია ის ერი, რომელსაც ძალდატანებით უერთებენ ამა თუ იმ სახელმწიფოს ან ძალდატანებით აკავებენ მის საზღვრებში..."

ანექსიის ცნების ზემოაღნიშნული განმარტებები, ჩვენი აზრით, სრულად ესადაგება სუვერენული საქართველოს მიმართ წითელი არმიის მიერ განხორციელებულ აქციას.

ჩვენი მოსაზრების გასამაგრებლად, ვფიქრობთ, ქართველი საზოგადოებრიობისათვის ინტერესმოკლებული არ იქნება ზოგიერთი საარქივო დოკუმენტის გაცნობა, რომელიც მკაფიოდ ადასტურებს საბჭოთა რუსეთის მხრივ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ანექსიის ფაქტს. შემოთავაზებულ დოკუმენტს, სამწუხაროდ, თარიღი არ უზის, მაგრამ ეჭვს არ იწვევს, რომ იგი დაწერილია წითელი არმიის საქართველოში შემოჭრის დღეებში. ამის საფუძველს გვაძლევს თვით დოკუმენტის შინაარსი. საარქივო საბუთი წარმოადგენს საქართველოს ერთა ლიგის საზოგადოების თავმჯდომარის ალექსანდრე ლომთათიძის მიმართვას ერთა ლიგის თავმჯდომარის ლეონ ბურჟუასადმი. ამ მიმართვის ასლის ადრესატია ალბერ ტომა, ცნობილი ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე, ისტორიკოსი, ერთ-ერთი დამაარსებელი, ხოლო 1920-1932 წლებში თავმჯდომარე ერთა ლიგასთან არსებული შრომის საერთაშორისო ორგანიზაციისა. როგორც ცნობილია, საქართველოს მესვეურები დიდ იმედებს ამყარებდნენ ერთა ლიგაზე (1920 წლის აპრილში მათ ჩამოაყალიბეს ერთა ლიგის საქართველოს საზოგადოებაც).

მიმართვის ავტორი ერთა ლიგის შემწეობით აუწყებდა ევროპას ქვეყნებს იმ საფრთხის შესახებ, რომელიც საბჭოთა რუსეთის ჯარებმა შეუქმნეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სუვერენიტეტს და იმედს გამოთქვამდა, რომ ევროპა აქტიურად დაუჭერდა მხარს ქართველი ხალხის ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის. მაგრამ ცნობილია, რომ დასავლეთის დიდმა სახელმწიფოებმა საქართველოს გადასარჩენად აქტიური პოზიცია არ დაიკავეს. საარქივო დოკუმენტი ჩვენთვის უპირველეს ყოვლისა მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ ადასტურებს ვარაუდს რუსეთის მხრივ დემოკრატიული საქართველოს ანექსიის შესახებ. სამომავლო გადაუდებელ საქმედ გვესახება აგრეთვე ანექსიის მომზადების საქმეში საბჭოთა რუსეთის ელჩის სერგეი კიროვის მონაწილეობის დადგენა. ვფიქრობთ, შემთხვევითი არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ ხელმძღვანელობის უმაღლესი ეშელონის წარმომადგენელი, საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი ლიდერი ელჩად იქნა მოვლინებული ჩვენთან. ეს ფაქტი უფლებას გვაძლევს ვივარაუდოთ, თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა „ქართულ საქმეებს" მოსკოვი. ჩვენი ვარაუდით, ს. კიროვის ელჩად მოვლინებით შეიკრა თანამოაზრეთა წრე (სტალინი, ორჯონიკიძე, კიროვი), რამაც გარკვეულწილად დააჩქარა საქართველოს გასაბჭოება შეიარაღებულ ძალებზე დაყრდნობით.

გურამ შენგელია.
დოცენტი.

„პარტიული სიტყვა" № 13

ისევე, როგორც წინა ნომრებში, ჟურნალში განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის მასალებს. ამჟამად, ჟურნალის ახალ ნომერში დაბეჭდილია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მ. ს. გორბაჩოვის საბოლოო სიტყვა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა პირველ ყრილობაზე.

„განახლების პოლიტიკური საფუძველი" — ასე ეწოდება ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ბ. მეჩხიას სტატიას.

ახალი ცხოვრება მოვიდა თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე მდებარე ერთ ძველ შენობაშიც, სადაც რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს დაუდევს ბინა. „ყველაფერი თავიდან იწყება" — ასეა დასათაურებული საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრთან გიორგი ჯავახიშვილთან ინტერვიუ, რომელიც თანამედროვე პირობებში სამინისტროს საქმიანობის გარდაქმნას ეხება.

რუბრიკით „პოლემიკა" გამოქვეყნებულია პროფესორ გურამ ყორანაშვილის განმარტებანი პროფესორ გრიგოლ ბრეგაძის იმ სტატიის პასუხად, რომელიც ამავე ჟურნალის წლევანდელ მეექვსე ნომერში დაიბეჭდა.

ჩინეთის სახალხო მეურნეობაში მიმდინარე გარდაქმნებს გვაცნობს პროფესორ ნიკოლოზ ნანიტაშვილის სტატია „ახალი სოციალური რევოლუცია"; ახლახან ტალინში გამართული ბალტიის ასამბლეის დოკუმენტებს განმარტავს იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი რეინ მიულერსონი.

ჟურნალი აქვეყნებს თბილისში 1989 წლის 9 აპრილს მომხდარი ამბების გამომძიებელი სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა კომისიის წევრთა სიას, რომლის თავმჯდომარეა ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კათედრის გამგე ანატოლი სობჩაკი.

მკითხველებს დააინტერესებთ ახალ ნომერში დაბეჭდილი ფელეტონი, წერილები, ფოტოინფორმაციები და კარიკატურები.

მათი მიზანი გამოკვეთილია

ეს იყო ორი წლის წინათ. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მაშინდელ რექტორს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს თეიმურაზ ლოლაძეს კაბინეტში ესტუმრნენ კინორეჟისორი რეზო თაბუკაშვილი, კომპოზიტორი გია ყანჩელი და საფრანგეთში მცხოვრები თანამემამულე შალვა თაყაიშვილი, იგი სპეციალობით ინჟინერია და გამოთვლითი ტექნიკის დარგში მუშაობს. ამ პიროვნებაზე, მისი ოჯახის კარგ საქმეებზე ბევრჯერ დაწერილა და მასზე აღარ შევჩერდებით, სტუმარმა გულდასმით დაათვალიერა ინსტიტუტი, მოეწონა ქართველი ახალგაზრდობა და წამოაყენა იდეა, რომ იქნებ მოხერხებულიყო მჭიდრო კავშირი დაემყარებინათ ერთმანეთთან. თბილისელ სტუდენტებს და ასპირანტებს ჰქონოდათ საშუალება ჩასულიყვნენ საფრანგეთში, ჩაბმულიყვნენ საერთო საქმიანობაში და ემუშავათ ამ ქვეყანაში არსებული მაღალი ხარისხის გამოთვლით მანქანებზე. ამით ისინი აიმაღლებდნენ კვალიფიკაციას და დიდ სარგებლობას მოუტანდნენ საქართველოს. როგორც ბატონმა თეიმურაზმა გვიამბო, იმ დროს (1987 წელს) შალვა თაყაიშვილი თავის ჯგუფთან ერთად დიდ შეკვეთას ასრულებდა, რომელიც ეხებოდა პარიზში მშენებარე ერთ-ერთი უდიდესი სპორტული კომპლექსის მუშაობის განრიგის ოპტიმიზაციას. ამ სპორტულ კომპლექსში ყველა სახეობის სპორტის დარბაზებია განლაგებული, რომლებსაც უამრავი მომსახურე პერსონალი და მომხმარებელი ეყოლებოდა და სწორედ გამოთვლითი ტექნიკის საშუალებათა გამოყენებით უნდა შემდგარიყო ის ოპტიმალური განრიგი, რომელიც ყველაზე ხელსაყრელი იქნებოდა ამ კომპლექსისათვის. სწორედ ამ სამუშაოებში უნდა მიეღოთ მონაწილეობა ქართველ სპეციალისტებს, ისინი 1987 წლის დამლევამდე უნდა გამგზავრებულიყვნენ, მაგრამ სანამ სათანადო ორგანოებმა ეს საკითხი გადაწყვიტეს, შალვა თაყაიშვილის ჯგუფმა აღნიშნული შეკვეთა მთლიანად დაამთავრა და იქ წასვლამ აზრი დაკარგა. გულდასაწყვეტია, რომ შალვა თაყაიშვილს ანალოგიური ან მსგავსი შეკვეთა დღემდე აღარ ჰქონია.

ბოლოს და ბოლოს კეთილად წამოწყებულმა საქმემ თავისი ნაყოფი გამოიღო — მთავრობის დადგენილებით საფუძველი ჩაეყარა ერთობლივი საწარმოს შექმნას. ეს გახლავთ საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ერთობლივი საწარმო ავტომატიკის, რობოტტექნიკის და კომპიუტერული ტექნიკის დარგში, რომლის სახელწოდებაა „არისი-თბილისი". მისი გენერალური დირექტორია ამ კეთილი საქმის ინიციატორი აკადემიკოსი თეიმურაზ ლოლაძე. შალვა თაყაიშვილის საკუთარ ფირმასაც არისი ჰქვია, მაგრამ იგი მთლიანად ფრანგულია. ფირმა ელისეს მინდვრის მიდამოებშია, ვერსალში კი სპეციალური საკონსტრუქტორო ბიურო აქვს. შენობის მეორე სართულზე განლაგებულია უახლესი ტექნიკის სხვადასხვა ექსპონატები. გამომთვლელი მანქანა „მიკროვაქსი", „ტელევაქსი", „ტელეტაიპი", რამდენიმე პერსონალური კომპიუტერი. გადაწყვეტილების მიღებიდან 7-8 თვის შემდეგ, მთელი რიგი ბიუროკრატული დაბრკოლებების გადალახვის შედეგად შესაძლებელი გახდა დაარსებულიყო ერთობლივი საწარმო. ასე რომ, იგი რეალურად შარშან შემოდგომის მიწურულს ჩამოყალიბდა. განვლილ პერიოდში საწარმოს კოლექტივმა არაერთი სასარგებლო სამუშაო განახორციელა. აქ რამდენიმე ახალი გამომთვლელი მანქანისაგან შემდგარი სისტემა უკვე გადასცეს მომხმარებელს. ასეთი მანქანების სისტემები გადაეცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალი ენერგიების ინსტიტუტს, მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს გამოთვლის ცენტრს. ერთი სისტემა მედიცინის მუშაკებმაც მიიღეს, რომლებიც ახლო მომავალში სრულ საჭირო კომპლექტაციას ელიან საფრანგეთიდან.

ერთობლივი საწარმო ამზადებს საინფორმაციო მასალას დარგობრივად პერსონალური კომპიუტერების ეფექტიანი გამოყენების შესახებ. მის გამოყენებას ვარაუდობენ სამთო ქიმიაში და ხე-ტყის დამუშავების ტექნოლოგიაში. როგორც აკადემიკოსმა თეიმურაზ ლოლაძემ გვითხრა, ერთობლივი საწარმოების ძირითადი მიზანი უნდა გახდეს ჩვენი ნაწარმის საერთაშორისო ბაზარზე გატანა, რაც დღესდღეობით საკმაოდ რთული ამოცანაა, რადგან ჩვენი პროდუქცია, ჩვეულებრივ, ვერ აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტს. ეს ეხება სახალხო მეურნეობის თითქმის ყველა დარგს, მათ შორის მანქანათმშენებლობისა და ხელსაწყოთმშენებლობის პროდუქციას. ამჟამად ფირმა „არისი-თბილისში" მოსამზადებელი სამუშაოები მიმდინარეობს იმისათვის, რომ ჩვენი ასეთი პროდუქცია გავიტანოთ უცხოეთში და ვალუტაზე გავყიდოთ. ეს ეხება სპეციალურ სახეხ ჩარხებს, მჭრელ იარაღებს, კომპრესორებს და კრიოგენულ სისტემებს, ხელოვნურ ალმასებს და ნახევარგამტარებს, ზოგიერთ ახალ ხელსაწყოს, ყველა იმ პროდუქციას, რომლებიც ორიგინალურია და ძირითადად საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ჩატარებული მეცნიერული კვლევების შედეგია.

აღნიშნული პროდუქციის სერიული წარმოების ორგანიზაცია, გვითხრა თეიმურაზ ლოლაძემ, მაღალი დონის დიზაინი საშუალებას მოგვცემს ჩვენი პროდუქცია გავიტანოთ როგორც ევროპის, ისე სხვა ქვეყნების ბაზარზე. ამით კი დაგროვდება ვალუტა, რომლის საშუალებით შესაძლებელი გახდება შემოვიტანოთ ის, რაც ჩვენს რესპუბლიკას აუცილებლად ესაჭიროება თავისი ტექნიკური დონის ამაღლებისათვის. ეს გახლავთ გამოთვლითი ტექნიკის ახალი ნიმუშები, მიკროელექტრონული სქემები, თანამედროვე ავტომატური ხაზები, სამედიცინო აპარატურა, მეტეოროლოგიური დაკვირვებისა და დამუშავებისათვის საჭირო მოწყობილობა და მრავალი სხვა რამ. ქართველი სპეციალისტების მიერ შექმნილი ზოგიერთი ნიმუში უკვე გატანილია საფრანგეთში და ზოგიერთ მათგანზე შეკვეთაც მიღებულია. ამ მხრივ გასაკეთებელი კვლავაც ბევრია. ძნელია კონკურენცია მსოფლიო ბაზარზე, სადაც მრავალი ქვეყნის ნიმუშებია წარმოდგენილი. რესპუბლიკას განსაკუთრებით უჭირს მანქანათმშენებლობასა და ხელსაწყოთმშენებლობაში, ამიტომაც ამ დარგში ახალი სიტყვის თქმას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ამისათვის კი აუცილებელია დაძაბული შრომა, მონდომება. ერთობლივი საწარმოს კოლექტივს მიზანი გამოკვეთილი აქვს — გამოავლინოს საქართველოს პოტენციალი, სიახლენი, რაც ჩვენში სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შედეგად არის მიღებული, ფაქტობრივად გამოიყენოს ქართველი მეცნიერის ნიჭი და უნარი. მიღებული შედეგები ორიგინალური პროდუქციის შექმნამდე მიიყვანოს და ამით იპოვოს თავისი ადგილი უცხოეთის ბაზარზე.

ლალი ქინქლაძე.

წერილი „კომუნისტს"

ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას

დადგა დრო, როცა ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას. ნათქვამია, დიდი საქმე წვრილმანიდან იწყებაო. მეც მკითხველის ყურადღება ერთ საკითხზე მინდა შევაჩერო.

სხვადასხვა რესპუბლიკის კალენდარი ბევრი გადამითვალიერებია, მაგრამ უცხო ერის შვილთა ისეთი სიჭარბე, როგორც ჩვენი კალენდრის ფურცლებზეა, არსად შემხვედრია. ის ხომ მხოლოდ შენაკადი უნდა იყოს კალენდრისა, ძირითადი კი ქართული?!

ნუთუ ჩვენში არ მოიძებნება ამა თუ იმ რიცხვში დაბადებული გამოჩენილი პიროვნებები, კალენდრის ფურცლების შესავსებად მავანი და მავანი რომ არ ვეძებოთ? განა სამას სამოცდახუთ დღეს ერის თვალსაჩინო შვილებს ან ისტორიულ თარიღებს ვერ მივუსადაგებთ? თუნდაც ხუროთმოძღვრულ, პოეზიის ან ხელოვნების ნიმუშებს, რომლებიც მნიშვნელოვან დღეს შეიქმნა! რატომ არ უნდა იყოს ქართულ კალენდარში ნახსენები დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, ქეთევან წამებული, დიმიტრი თავდადებული, ცოტნე დადიანი?!.

ქართული კალენდრის ფურცლებზე რატომ არ უნდა იყოს ისტორიული ეროვნული თარიღების მინიშნება, ეს საშუალებას მოგვცემდა ერთხელ კიდევ გადაგვეფურცლა და გაგვეხსენებინა გარდასულ დღეთა ისტორია. ეს, ჩემი აზრით, ქართველ კაცს სულიერ საზრდოსაც მისცემდა.

ჩვენი ქართული კალენდარი ძირითადად ეროვნული უნდა იყოს.

სიტყვა შემიგრძელდა, მაგრამ ერთსაც მოგახსენებთ: ხომ არ ჭარბობს ჩვენში სხვათა შვილთა ძეგლები და ქუჩების სახელწოდებები? მე მესმის, რომ ეს აუცილებელია, მაგრამ ყველგან და ყველაფერში ხომ ზომიერებაა საჭირო? კარგი ნაბიჯი გადაიდგა ზოგიერთი ქუჩის სახელწოდების შეცვლით, მაგრამ ჯერჯერობით მცირეა გაკეთებული.

„ვინც მეტი ჰქმნა, მას მოეკითხოსო",— უთქვამთ ძველებს. ყველაფერს დროულად უნდა მიეჩინოს თავისი ადგილი, თორემ შეიძლება შემდეგ გვიან იყოს „თითზე კბენანი".

სიმონ ოყრეშიძე,
პენსიონერი.
ქ. ქუთაისი

ამიერკავკასიის მაჰმადიანთა ყრილობა

ბაქო, 25 ივლისი (საკდესი). აზერბაიჯანის დედაქალაქში დღეს გაიმართა ამიერკავკასიის მაჰმადიანთა ყრილობა. რეგიონის რელიგიური თემების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ საბჭოთა საზოგადოების დემოკრატიზაციის სულ უფრო ღრმა პროცესებმა მორწმუნეთ მისცა ახალი შესაძლებლობანი თავიანთი სულიერი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, რელიგიური წესჩვეულებების აღსასრულებლად. გაიხსნა მრევლის სახსრებით რესტავრირებული მეჩეთები აზერბაიჯანის რამდენიმე რაიონში.

ჩვენი, როგორც საბჭოთა სახელმწიფოს მორწმუნე ადამიანებისა და სრულუფლებიანი მოქალაქეების მადლიერებას არ შეიძლება ჰქონდეს აბსტრაქტული ხასიათი, განაცხადეს დელეგატებმა, იგი, ბუნებრივია, გადაიზრდება პასუხისმგებლობის მოქალაქეობრივ გრძნობად ყოველივე იმისათვის, რაც ხდება ქვეყანაში, მისი მომავლისათვის. სამშობლოს წინაშე ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია ლოცვითა და საქმით შევუწყოთ ხელი საბჭოთა საზოგადოების კეთილნაყოფიერ განახლებას და გარდაქმნის წარმატებას.

ამიერკავკასიის მაჰმადიანთა სასულიერო სამმართველოს თავმჯდომარედ კვლავ არჩეულია შეიხ-ულ-ისლამ ალაჰშუქურ ფაშაზადე, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი.

ყრილობამ მიიღო მიმართვა საბჭოთა კავშირის ყველა მორწმუნისადმი, და მოუწოდა მათ, ერთობლივი ძალისხმევით შეუწყონ ხელი საზოგადოების შეკავშირებას.

საგამოფენო დარბაზი

ჩვენი ჩინელი სტუმრები

ცნობილი მხატვრების ცოლქმარ გივი და ლიუ ყანდარელების მოწვევით თბილისში იმყოფებიან ჩინელი სტუმრები ჯან ჩენი და ჩენ ვიჯუანი — ორივენი პეკინის მკვიდრნი არიან. ბავშვობიდან კულტურულ გარემოცვაში იზრდებოდნენ, სწავლობდნენ უძველეს ჩინურ კალიგრაფიას და ხელოვნების ისტორიას. კულტურული რევოლუციის დროს ორივენი გადაასახლეს ერთ მიყრუებულ, შორეულ სოფელში, სადაც რამდენიმე წელი დაჰყვეს მძიმე სამუშაოზე. შინ დაბრუნების შემდეგ ისინი მაინც დაეწაფნენ საყვარელ საქმეს. ჩენ ვიჯუანმა ხელი მიჰყო მხატვრულ ფოტოს, გახდა კიდეც ფოტოხელოვანი, ხოლო ჯან ჩენი სრულყოფდა ხელოვნების ისტორიის შესწავლას და ჩინურ „გოხუას" სტილში მუშაობს.

საქართველოში ყოფნამ მათზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ჯან ჩენმა მრავალი ჩანახატი გააკეთა. ჩინელ სტუმრებს გადაწყვეტილი აქვთ შინ დაბრუნებისთანავე პეკინში მოაწყონ გამოფენა „საქართველო ჩინელების თვალით", რომელზეც წარმოდგენილი იქნება ჯან ჩენის მიერ ჩინურ სტილში შესრულებული ფერწერული ნამუშევრები, აგრეთვე კალიგრაფიული წარწერები და ჩენ ვიჯუანის ფოტოები.

ნაწილი ამ ექსპოზიციისა უკვე გამოიფინა თბილისის მხატვრის სახლის დარბაზებში. სტუმრები დიდად მადლობელი არიან მხატვრის სახლის დირექციისა კეთილმოსურნე დამოკიდებულებისა და ხელშეწყობისათვის.

საერთოდ, საქართველოში გატარებული დღეები, — ამბობენ ისინი, — ჩვენს მეხსიერებაში წარუშლელ კვალად აღიბეჭდება. თბილისურ შთაბეჭდილებას განსაკუთრებით აცოცხლებენ ადამიანები, რომლებსაც ჩვენ ყოველდღე ვხვდებით.

(„კომუნისტის" კორ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

შუადღე. ვარლამ ბენდიურის ფოტო.

მადლობა საფრანგეთიდან

პარიზის თეატრ „ქარდენის" დირექტორის ჟაკ დუეს მიწვევით საფრანგეთში კონცერტებს მართავდა თბილისის მე-3 ექსპერიმენტული სკოლის ქორეოგრაფიული ანსამბლი თ. გოგოტიშვილის ხელმძღვანელობით. ანსამბლი მიწვეული იყო აგრეთვე პარიზში საფრანგეთის რევოლუციის მე-200 წლისთავის აღსანიშნავ ზეიმზე, რის შემდეგ კოლექტივი მონაწილეობას მიიღებს ქალაქ მატეს მშვიდობის ფესტივალში.

ანსამბლის გასტროლები საფრანგეთის ქალაქებში ივლისის ბოლომდე გასტანს.

ამ დღეებში კულტურის სამინისტრომ მიიღო საფრანგეთში სსრ კავშირის ელჩის ამხ. ი. პ. რიაბოვის დეპეშა:

„პატივცემულო ვალერი როსტომის ძევ!

გულწრფელი კმაყოფილებით გაცნობებთ, რომ 9 ივლისს პარიზში დიდი წარმატებით დამთავრდა საფრანგეთში თბილისის მე-3 ექსპერიმენტული სკოლის მოცეკვავეთა ანსამბლის (ხელმძღვანელი — თ. გოგოტიშვილი) გასტროლების პირველი ეტაპი.

ეს ანსამბლი უკვე მეორედ გამოდის პარიზის სცენაზე და ნორჩმა მოცეკვავეებმა კვლავ გაახარეს ფრანგი მაყურებელი თავიანთი ტალანტით და ქართული ეროვნული ცეკვების უზადო შესრულებით.

ამ კოლექტივის გამოსვლები დაემთხვა საფრანგეთში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვის ოფიციალურ ვიზიტს, რამაც ანსამბლის კონცერტებს გარკვეული პოლიტიკური ელფერი შესძინა.

ამხ. ე. ა. შევარდნაძის სახელზე მიღებულია დეპეშა საბავშვო თეატრის დირექტორის ჟ. დუესაგან, რომელიც გამსჭვალულია მადლიერების გრძნობით ნორჩი შემსრულებლებისადმი.

სიამოვნებით ვუერთდები ამ სიტყვებს, ვსარგებლობ შემთხვევით და ვუსურვებ შემდგომ დიდ წარმატებებს საბჭოთა და საერთაშორისო სარბიელზე საქართველოს თვითმოქმედ და პროფესიონალ შემსრულებლებს.

პატივისცემით
სსრ კავშირის ელჩი საფრანგეთში
იაკობ პეტრეს ძე რიაბოვი".

მოვლენათა ქრონიკა

პირველი პერსონალური...

იზა ნადირაძეს, როგორც მხატვარს, შეიძლება დღეს ბევრი არ იცნობდეს. იგი მუსიკათმცოდნეა, მე-2 სამუსიკო სკოლის პედაგოგი.

მხატვრობა ბავშვობიდანვე ხიბლავდა. 9 აპრილმა ძლიერი ემოციური გავლენა მოახდინა მასზე. სწორედ ამ გავლენის შედეგად შეიქმნა მისი ნახატების სერიალიც, რომლის გამოფენა მოეწყო თბილისის კულტურის მუშაკთა სახლში. ეს მხატვრის პირველი პერსონალური გამოფენაა.

აქ წარმოდგენილი ნახატები ფერთა საოცარ, უჩვეულო გამას წარმოადგენს. სიკვდილის, გლოვის, უიმედობის მუქი ტონები, განახლების, მომავლის იმედის, რწმენის ღია ტონებს ერწყმის. ფერთა ქიდილში კონტურების, მკვეთრი ხაზების ნაცვლად რჩება არარეალური, ინდივიდუალურად გაცნობიერებული სამყარო...

სახვითი ხელოვნების მოყვარულთ უთუოდ დააინტერესებთ თვითნასწავლი მხატვრის შემოქმედება.

ქეთევან წიქორიძე.

▼▼

სწავლა-აღზრდის აქტუალურ საკითხებზე

საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს ექსპერიმენტულმა სამეცნიერო-საწარმოო პედაგოგიურმა გაერთიანებამ გამოსცა კრებული „მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური, შრომითი, ზნეობრივი და ესთეტიკური აღზრდა ქართული ლიტერატურის გაკვეთილებზე". კრებულში დაბეჭდილი ნაშრომების ავტორები (ჯ. დადიანი, ს. დვალი, ე. თაბორიძე, მ. სოსელია) მაღალკვალიფიციურად განიხილავენ აქტუალურ საკითხებს, რომლებიც აინტერესებთ სიტყვიერების მასწავლებლებს. კრებულის რედაქტორები არიან: პროფესორი ქ. მაჭარაშვილი და გაერთიანების სარედაქციო-საგამომცემლო განყოფილების გამგე ლ. ასათიანი.



დღეს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, ზოგან ხანმოკლე წვიმა, ჭექა-ქუხილი, აღმოსავლეთის ქარი 9-14 მეტრი წამში, ტემპერატურა — 25-30, ზღვისპირეთში 20-25, მთაში 22-27, მაღალმთიანეთში 17-22 გრადუსი.

აღმოსავლეთ საქართველოში — ზოგან ხანმოკლე წვიმა, ჭექა-ქუხილი, შესაძლებელია სეტყვა, სუსტი ქარი, ტემპერატურა — ბარში 28-33, მთაში 22-27, მაღალმთიანეთში 18-23 გრადუსი.

თბილისში: ცვალებადი მოღრუბლულობა უნალექოდ, სუსტი ქარი, ტემპერატურა — 31-33 გრადუსი.

პრემია საიუბილეო წელს

შემოდგომაზე ჩვენი სამეცნიერო საზოგადოებრიობა ფართოდ აღნიშნავს გამოჩენილი ქართველი მათემატიკოსის, საქართველოში უმაღლესი მათემატიკური განათლების ფუძემდებლის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებლის ანდრია რაზმაძის დაბადების 100 წლისთავს. სასიქადულო მამულიშვილის საიუბილეო წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ მეხუთედ გამოაცხადა კონკურსი მისი სახელობის პრემიის მოსაპოვებლად. აკადემიის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით ეს საპატიო ჯილდო მიეკუთვნა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატს ვასილ ბუღაძეს მონოგრაფიისათვის „ფუნქციათა სუპერპოზიციების ფურიე-ჰაარის მწკრივები". წიგნი შარშან რუსულ ენაზე გამოქვეყნდა თბილისში და სპეციალისტთა კარგი შეფასება დაიმსახურა. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ოთარ წერეთელი და ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი ლერი გოგოლაძე რეცენზიაში აღნიშნავენ, რომ მონოგრაფია დაწერილია მაღალ მეცნიერულ დონეზე, ეძღვნება ფუნქციათა თეორიის მნიშვნელოვან საკითხებს და მათი სისტემატური გადმოცემის პირველ ცდას წარმოადგენს. რეცენზენტთა აზრით, წიგნი დიდ სარგებლობას მოუტანს ასპირანტებსა და მეცნიერ მუშაკებს.

ანდრია რაზმაძის სახელობის პრემიის მეხუთე ლაურეატი დაიბადა 1955 წელს, დაამთავრა თბილისის უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი; ასპირანტურის კურსი ცნობილი საბჭოთა მათემატიკოსის, საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის პეტრე ულიანოვის ხელმძღვანელობით გაიარა მოსკოვის უნივერსიტეტში. 1984 წელს ვასილ ბუღაძე ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი გახდა, ამჟამად თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფუნქციათა თეორიისა და ფუნქციონალური ანალიზის კათედრის მეცნიერ თანამშრომლად მუშაობს. ახალგაზრდა მკვლევარი უთუოდ კვლავაც წარმატებით გააგრძელებს მეცნიერულ საქმიანობას.

თამაზ ებანოიძე.

სატურნირო ორბიტა

● **ფეხბურთი.** გთავაზობთ უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეცხრამეტე ტურის მატჩების შედეგებს: მოსკოვის „ლოკომოტივი"-დუშანბეს „პამირი" — 0:2, ვილნიუსის „ჟალგირისი"-ოდესის „ჩერნომორეცი" — 1:0, კიევის „დინამო"-მოსკოვის „დინამო" — 0:0, მინსკის „დინამო"-დნეპროპეტროვსკის „დნეპრი" — 1:1, დონეცკის „შახტიორი"-ხარკოვის „მეტალისტი" — 1:2, ერევნის „არარატი"-ლენინგრადის „ზენიტი" — 3:0.

როგორც ცნობილია, აფხაზეთში მომხდარ ტრაგედიასთან დაკავშირებით 25 ივლისი საქართველოში გლოვის დღედ იყო გამოცხადებული და ამის გამო თბილისის „დინამოსა" და ვოლგოგრადის „როტორის" მატჩი გადაიდო. იგი მოგვიანებით გაიმართება, გუშინ კი ამ ტურის კიდევ ერთი მატჩი გაიმართა: მოსკოვის „სპარტაკმა" უმასპინძლა მოსკოვის „ტორპედოს". ამ მატჩის შედეგის გაუთვალისწინებლად ლიდერთა ოთხეულში გუნდები ასეთი თანამიმდევრობით არიან განაწილებული: მოსკოვის „სპარტაკი" — 29 ქულა (18 მატჩიდან), ვილნიუსის „ჟალგირისი" — 25 (20-დან), დნეპროპეტროვსკის „დნეპრი" — 24 (19-დან) და მოსკოვის „ტორპედო" — 24 (18-დან).

● **რაგბი.** მოსკოვში მთავრდება გაზეთ „სოვეტსკი სპორტის" პრიზის გათამაშება. სსრ კავშირის ნაკრები მორიგ მატჩში შეხვდა რუმინელთა გუნდს და დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა — 33:12. ამ მოგებით ჩვენმა ნაკრებმა ტურნირის დამთავრებამდე პირველი ადგილი გაინაღდა. ნაკრების წევრთაგან თავი ისახელა ნუგზარ გაგნიძემ, რომელმაც ხუთი საჯარიმო დარტყმა და ერთი რეალიზაცია ზუსტად შეასრულა. მეორე ადგილის მფლობელის ვინაობა გაირკვევა სსრ კავშირის მეორე ნაკრებისა და რუმინეთის გუნდის შეხვედრის შედეგის მიხედვით. ეს მატჩი მოეწყობა დღეს.

რედაქტორი
ნ. ჩერქეზიშვილი.

საქართველოს მუსიკალური საზოგადოების გამგეობა

აცხადებს მიღებას **ქორეოგრაფიის სახალხო უნივერსიტეტში** ქართული ხალხური ცეკვის, საბჭოთა კავშირის ხალხთა ცეკვების, სამეჯლისო ცეკვების, კლასიკური საბალეტო ცეკვების ფაკულტეტებზე.

სწავლების ხანგრძლივობა სამი წელია. სწავლება სამეურნეო ანგარიშზეა.

მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

1. განათლების მოწმობა (ასლი);
2. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან;
3. დახასიათება ძირითადი სამუშაო ადგილიდან;
4. ავტობიოგრაფია;
5. ორი ფოტოსურათი 6X9-ზე.

საბუთების მიღება წარმოებს პირველი სექტემბრიდან 20 სექტემბრამდე.

მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 22
საქ. მუსიკალური საზოგადოების გამგეობა
ტელ. 99-92-43, 99-00-37.

საქართველოს მუსიკალური საზოგადოების გამგეობა.

ტელევიზია — ხუთშაბათი, 27 ივლისი

თბილისი

პირველი პროგრამა. 13.05 — ნაშუადღევს. 13.55 — ათლეტიზმი. 15.50 — საინფორმაციო გამოშვება. 16.00 — მოსწავლეთა ზაფხულის არდადეგების გამო. სატელევიზიო კინოდარბაზი „ცისკარა". მხატვრული ფილმი „გარეშეთათვის შესვლა ნებადართულია". 17.30 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 17.55 — „თვალსაწიერი". სატელევიზიო ჟურნალი უფროსკლასელთათვის. 18.35 — საქართველოს საფეხბურთო პირველობაზე (მიმოხილვა). 19.05 — პასუხი ტელემაყურებელთა შეკითხვებზე. 19.45 — ძილისპირული. 20.00 — მოამბე. 20.35 — წერილის დღე. 20.40 — აქტუალური ეკრანი. საფინანსო მდგომარეობის გაჯანსაღებისათვის. 21.25 — ხალხური შემოქმედება. „ქართული საგალობელი". 21.55 — წერილის დღე. 22.00 — „ვრემია". 22.40 — „სალამო მშვიდობისა!". მუსიკალურ-საინფორმაციო პროგრამა.

მეორე პროგრამა. 16.35 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „აირჩიე". 17.10 — მხატვრული ფილმი „მტვრიანი მზის ქვეშ". 18.40 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 19.10 — სატელევიზიო მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „სათვალიანი". 20.00 — მოამბე. 20.35 — მხატვრული ფილმი „მაპატიე, ალიოშა!". 22.00 — „ვრემია". (პროგრამაში მოსალოდნელია ცვლილებები).

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 7.30 — 120 წუთი. 9.35 — მულტფილმი. 10.15 — ფეხბურთი. „სპარტაკი"-„ტორპედო". 11.55 — სიმღერები ს. ოსტროვის ლექსებზე. 16.35 — მხატვრული ტელეფილმი „სიყვარული ამ ასაკში". III სერია. 17.45 — კონცერტი. 18.15 — „კატა ლეოპოლდის თავგადასავალი", მულტფილმი. VI სერია. 18.25 — „...თექვსმეტ წლამდე და უფროსი ასაკისა". 19.10 — პოეზიის ხუთი წუთი. 19.15 — ძალაუფლება — საბჭოებს. რეგიონალური სამეურნეო ანგარიში და ადგილობრივი საბჭოების საქმიანობა. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — სიმღერა-89. 20.15 — შეხვედრა ფსიქიატრ ექიმთან ა. მ. კაშპიროვსკისთან. 22.00 — „ვრემია". 22.40 — ესპანური ოპერის ვარსკვლავები. პ. დომინგო. 23.35 — „მეგობრების ეკრანი" (უნგრეთი, პოლონეთი, ბულგარეთი). 0.35 — დღეს მსოფლიოში.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 სამეცნიერო-პოპულარული ფილმები. 9.45 — ფილმ-კონცერტი. 10.50 — უსაფრთხო მოძრაობისათვის. 10.55 და 13.25 — ესპანური ენა. 11.25 — დოკუმენტური ფილმი. 12.10 — მხატვრული ფილმი „შავი ზღვის ტალღები". VIII სერია. 14.10 — მხატვრული ფილმი „მძევალი ბელა ვისტაში". 18.00 — ახალი ამბები. 18.10 — მხატვრული ფილმი „წერილი უცნობი ქვეყნიდან". 19.30 — ბუდაპეშტის საგაზაფხულო ფესტივალის კონცერტები. 19.45 — სპორტული პროგრამა. 20.45 — „ძილი ნებისა, პატარებო!". 21.00 — სსრკ უმაღლესი საბჭოს სესია. 22.00 — „ვრემია". 22.40 — მხატვრული ფილმი „წერილი უცნობი ქვეყნიდან". 0.05 — ჩვენი ბალი. 0.35 — „ორენბურგული საღამოები".

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 10459 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, ბეჭდვა ოფსეტური წესით. საგაზეთო ქაღალდი, მოცულობა 2 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14